საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 სექტემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება [illegible] მისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 208 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 208

უბედური, გულდათუთქული და შეწუხებული მშობლები ლადიკო ივანეს ძე, ევა თედორეს ასული, დები: ქენია, ლიუბა, თამარა და ირინე. ბებია და ბაბუა ივანე იესეს ძე და ელისაბედ ლევანის ასული და ბიძა აპესალომი თავართქილაძენი ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 12 ენკენისთვეს, პარასკევს დილის 6 ს. გარდაიც. ტვინის ანთებით მათი უძვირფ. შვილი პირველისა და მეორენისა, შვილის შვილი მესამისა და ძმის წული მეოთხისა

(დოდოსკა) ქეთევანა ლადიკოს ასული თავართქილაძე

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 14 ენკენისთვეს, კვირას, დილის 12 ს. წმ. ნინოს სასაფლაოზე, ელისაბედის ქ. სახლის № 134.

გულდამწვარი მშობლები დეკანოზი იოსებ წერეთელი და მეუღლე მისი ოლღა შვილებით და რძლებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი შვილის

ვერა-ვარაზაშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. ცხრუკვეთის ეკლესიაზე და მიცვალებულის საფლავზე ორშაბათს, 15 ენკენისთვეს (ახ. სტ.) წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე. (2—2)

გაუბედურებულნი ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი და შვილები მისი თამარი და სოსიკო აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი უძვირფასესის ცოლის და დედის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. ცხრუკვეთის ეკლესიაზე და მიცვალებულის საფლავზე ორშაბათს, 15 ენკენისთვეს (ახ. სტ.) წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე. (2—2)

ღრმათ დამწუხრებული და მუდამ მტირალეთ დატოვებული მშობლები მართა და ადო, სიცოცხლე მომსპარი დები კაკია, ნინა, თებრონე და კესარია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 სექტემბერს ს. უხხოში (გურია) ნათლისმცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის შვილის და მეორეთა ძმის

ილიკო ანდრიას ძე ჯინჭარაძის

სულის მოსახსენებლად.

ღრმათ დამწუხრებულნი ბაბილინა ქაიხოსროს ასული თენიეშვილისა, ნამეტი ქაიხოსროს ასული თალაკვაძისა—რძლებით მარო, ფეცე და პაშა შვილებით ისიდორე, ტიტიკო, ილია, მოსე, დათიკო, კარლო, თამარა, ალისა შარაშიძესი, ანეტა ასათიანისა, სიძენი: დათიკო შარაშიძე და კოლია ასათიანი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ კვირას 14 ენკენისთვეს დილით 10 ს. დანიშნულია ანჩისხატის ტაძარში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

სიმონ ქაიხოსროს ძის ჯაყელის

სულის მოსახსენებლად.

მარსელი, მარიკო, მადლენა, შალვა და კისია ჯაყელი. ონისიმე ერასტის ძე და ანნა დიმიტრის ასული ქვანია, ვერა, პავლე და ვლადიმერ დიმიტრის ძენი და ალათი ეგნატეს ასული კოსტანდი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 14 ენკენისთვეს დილის 10 ს. ქ. თფილისში, ანჩისხატის ტაძარში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთათვის ძვირფასი მამის, დანარჩენის მეგობარის და სიძის

სიმონ ქაიხოსროს ძე ჯაყელის

სულის მოსახსენებლათ, რომელიც ვერაგულათ მოკლულ იქნა ქალ. ნოვოროსისკში.

კვირას, 14 სექტემბერს ქ. ხონში დანიშნულია გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი მედგარ მებრძოლის, და მტკიცე რევოლიუციონერის

პოლიკარპე ხაინდრავას

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებენ საზოგადოებას, საავტომობილო გუნდში მყოფნი მისი ამხანაგები: ალ. ბახთაძე, დ. ორაგველიძე, გ. გორდაძე, ალ. ფარცხალაძე, ბუჭ. სანაძე, დ. ლურჭუმელია, ალ. გიორგაძე და ნ. შუბლაძე.

თავზარდაცემული მშობლები მამა გრიგოლ გაბრიელის ძე და დედა მარგარიტა პავლეს ასული, ძმები: გალაქტიონ, იულიანე და ქორქი, დები: პელაგია, ვადიკო და ქსენია და სიძე ევგენი მასიკოს ძე სანაღირაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ხონის საქალ. გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

ნიორაზი (ბარდღა) გრიგოლის ძე გაწერელიას

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდა გუშინ, 13 სექტემბერს მარტვილში.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ

ვ. რუხაძის მესამე წიგნი

„ცხოვრების ყვავილები“

(ლექსები).

## წითელი გვარდიის პირველი ყრილობა

საქართველოს დემოკრატიას ყავს თავის საამაყო ძალა—წითელი გვარდია, შემდეგ სახალხო გვარდიათ წოდებული.

იგი სწორეთ იმიტომაა წითელი, რომ სახალხოა, მაშასადამე რევოლიუციური, მუშათა მასსის, ამ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალის შეიარაღებული შვილია.

იგი მუშათა საბჭოს წიაღიდან წარმოიშვა ორი წლის წინეთ, როცა სამოქალაქო ომის სუნით იყო ჰაერი გაჟღენთილი. მას შემდეგ მას იარაღი არ დაუგდია, არ დაუსვენია, უკან მიხედვის დრო არ ჰქონია, სულ წინ მიისწრაფოდა ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ, ანარქიის და კონტრ რევოლიუციის ტალღათა ჩაქრობისაკენ.. და დღეს, თითქმის ორი წლის შემდეგ, პირველათ ახერხებს დასულთქმებას, აზრის მოკრებას, თავის შინაგან წყობილებაზე დაფიქრებას, წარსულის ნამუშევარის გადახედვას. მას ბევრი და მრავალ ფეროვანი ამოცანები უდგას დღეს წინ.

აჩქარებული ტემპით ეწყობოდა მისი ორგანიზაციები, სასწრაფოთ იცემოდა სამისო კანონები, მაგრამ სახელოვანი ხელმძღვანელების და ენერგიული შეგნებული შემადგენლობის წყალობით მისი მოქმედება და მუშაობა მაინც დიდი ნაყოფიერი იყო.

მან შექმნა დემოკრატიული დისციპლინა, მოგვცა სახე, ჩანასახი, დასაბამი სახალხო შეიარაღების, მან დაგვანახვა შესაძლებლობა განსაცვიფრებლათ სწრაფი მობილიზაციის, ურთიერთის თავდადებული დახმარების, შეუდარებელი თავგანწირულების.

ამ თვისებების თანდათანი გაძლიერებით იზრდებოდა იგი. ვაჟკაცდება, და ამით სამაგალითო ნიმუშათ ხდებოდა ჩვენი მეორე შეიარაღებული ძალის—მუდმივი ჯარისათვის.

მისმა გაძლიერებამ შექმნა შესაძლებლობა რეგულიარული ჯარის შედგენის და ამით ერთი ორათ გაუმაგრა ფესვები ჩვენს რესპუბლიკას.

გვარდია არის არა მარტო შეიარაღებული ძალა, არამედ ამასთანავე იდეური ძალა... აქ იდეა შეიარაღებულია თოფ-ზარბაზანით და ტყვია წამალს ჩადგმული აქვს სული რევოლიუციური იდეის.

და აი ეს გვარდია, ჩვენი წითელი ჯარი, ძველი რევოლიუციონერ მუშებისაგან შემდგარი, ეს იარაღ-ასხმული რევოლიუცია იკრიბება დღეს თავის ყრილობაზე.

აქ მოიტანს ის მთელ თავის ორი წლის გამოცდილებას, საჭიროებას და მოთხოვნილებას. ყრილობას მიზნათ აქვს ჩაუყაროს საფუძველი გვარდიის მტკიცე ორგანიზაციას, საბოლოო ფორმა მისცეს მას ჩვენი რესპუბლიკის წყობილებაში, შეადუღოს იგი ჩვენს რევოლიუციურ რესპუბლიკას, რომელსაც რევოლიუციონური, სოციალისტური მთავრობა ხელმძღვანელობს.

იგი დღემდე სეპარატიული კანონებით და დადგენილებებით შეერთებული რესპუბლიკის ორგანიზმთან, მარა ფაქტიურათ ორგანიულათ შეკავშირებული მასთან, უნდა იურიდიულათაც მტკიცე დემოკრატიულ ფორმებში ჩამოყალიბდეს.

ყრილობამ უნდა შეიმუშავოს საფუძველი გვარდიის დებულებისა. მან უნდა მისცეს ამ რევოლიუციური ლაშქრის აზრი ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებებს შემდეგი მოქმედებისათვის ამ ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში ჩვენის ცხოვრებისა.

და ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობა, რომელიც ერთიანათ რევოლიუციის საუკეთესო მებრძოლთაგან შესდგება, შესძლებს მის წინ დაყენებულ საკითხის სისწორით გადაჭრას ჩვენი დემოკრატიისა და რესპუბლიკის ინტერესების სასარგებლოთ. სალამი წითელ გვარდიას, სალამი მის პირველ ყრილობას.

## ერობათა მე-2 ყრილობა

შთაბეჭდილება

მეტად საინტერესო იყო ყრილობის მესამე სხდომა. ამ სხდომაზე ყრილობა ისმენდა მოხსენებას ადგილობრივ მუშაობის შესახებ. მოხსენებებმა გადაშალა ჩვენ თვალ წინ სურათი სოფლის ცხოვრებისა, მისი ტკივილებისა, მის მოთხოვნილებათა, მისი საქმიანობისა, მისი დამოკიდებულებისა ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო საკითხთან; გაგვაცნო იმ დაუზოგველ შრომას, რომელსაც ეწევა ჩვენი ახალგაზრდა ერობა იმ ჯოჯოხეთურ პირობებში, რომელშიდაც მას უხდება მუშაობა.

მოხსენებებმა ნათლათ დაამტკიცა თუ რა ზერელე წარმოდგენის არიან ერობათა მუშაობის შესახებ ყველა ისინი, ვინც ასე უდიერათ ეპყრობა მათ მოღვაწეობას და ყოველ-დღეუმოქმედობას უკიჟინებს.

არ დარჩენილა არც ერთი მხარე სოფლის ცხოვრებისა, რომლისათვის ერობას ყურადღება არ მიექციოს და შეძლების და გვარათ მისი მოგვარება არ ცდილიყოს. თითქმის ყველა ერობის წინასწარი, „მოსამზადებელი“ მუშაობა დაუსრულებელია, მთელი მუშაობა დიდ შარა გზაზეა გამოგორებული და ეჭვი არაა, დღეიდან მუშაობის ტემპიც უფრო ჩქარი იქნება და შინაარსიც უფრო მდიდარი.

ყველა მოხსენებიდან აშკარათ სჩანს საერთო გეგმის, საერთო პროგრამის უქონლობის დიდი ნაკლი. ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა მაზრაში სხვა და სხვა ფორმას და მიმართულებას იღებს და მით საერთო მოქმედებას სიჭრელის აშკარა ზოლს აყოლებს. ზოგი მომხსენებელი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ საერთო გარკვეული ხაზის უქონლობის გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით თვით შეგვექნა პრაქტიკა, ტრადიცია, ხშირად საკანონ მდებლო ხასიათის ნაბიჯიც გადაგვედგა. სხვაფრივ ჩვენს პირობებში არც შეიძლება ყოფილიყო ეს და „სხვადასხვა ნაირი პრაქტიკა“, ეჭვი არაა, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს ერთი მისაღები და შესაფერი აზრის ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ ერთ ერობას ერთი რომელიმე დარგისთვის უფრო მეტი ყურადღება მიუქცევია და საკმაოდ რიგიანად მოუწყვიათ, სამაგიეროდ მეორეს—მეორე დარგი აულია და მის მოწესრიგება მოწყობისათვის მეტი დრო და ხარჯი გაულია. ასე, მაგ. გურიის ერობას საუცხოვოდ მოუწყვია მილიცია და ერობის თავმჯდომარე ს. ჭანტურიშვილი დაბეჯითებით ამბობდა: ჩვენ არ ვიცით რა არის მილიციის მიერ ქრთამის აღება. ჩვენ არ ვიცით ის უკმაყოფილება მილიციის წინააღმდეგ, რომელიც გაისმის სხვადასხვა ადგილებშიო და სხ. ქუთაისის ერობას მშვენივრათ მოუწყვია საექიმო დახმარება და აფთიაქები. სიღნაღისას კიდევ—გადასახადების აკრეფა და სხვა. ეჭვი არაა, ყრილობა ისარგებლებს ერობების გამოცდილებით და ნაცადი პრაქტიკით სხვა დასხვა დარგებში, თავს მოუყრის ყველა დადებითი მხარეებს და ასე მას სახელმძღვანელოთ გახდის სხვა დანარჩენი ერობებისათვის.

ის ჩუმი და ენერგიული მუშაობა, რომელიც ჩვენ თვალ წინ გადაშალა ერობათა წარმომადგენლების მოხსენებამ, უტყუარი თავდებია იმის, რომ ჩვენ სოფლის ცხოვრებას უკვე გაუჩნდა ერთგული პატრონი და თუ ყველა ისინი, ვისაც პირდაპირ კავშირი აქვს ერობათა მუშაობასთან, დახმარებას გაუწევენ მათ—ეჭვი არაა, დანგრეული და აწეწილ დაწეწილი სოფლის ცხოვრება ძალიან მალე გაიკაფავს გზას და მით კვიდრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენი ხალხის კეთილდღეობას და მის წინმსვლელობას...

გ ა ნ ი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ეროვნება და სარწმუნოება.

მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობაზე ბათუმში სწორედ ასე დაისვა საკითხი. საინტერესოა სხვადასხვა ორ ტორების აზრი. (ვსარგებლობთ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“-ში 3 და 4 სექტემბრის მოყვანილი ანგარიშებით).

ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელი ბ-ნი **ეფენდიევი ამბობს:**

„ჩემი მთავრობის სახელით მოგესალმებით თქვენ, მუსლიმან ქართველების წარმომადგენლებს, რომელნიც აქ შეკრებილხართ თქვენი ქვეყნის მომავალი ბედის გადასაწყვეტათ. თქვენ უკვე იცით, რომ საქართველო და ადერბეიჯანი შეკავშირდა და შეერთებულის ძალით ამაგრებენ თავიანთ ქვეყანას და იცავენ დამოუკიდებლობას. თუ დღემდის მუსლიმან ქართველებსა და ქრისტიან ქართველებს შორის გამთიშველი მდგომარეობა იყო, ეს დღეს უკვე მოისპო და გთხოვთ გამოიტანოთ გადაწყვეტილება თქვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოთ, რომ მით შეუერთდეთ საქართველოს, რასაც აღტაცებით მიეგებებიან საქართველოს და ადერბეიჯანის ხალხი და მათი მთავრობა. გისურვებ ნაყოფიერ მუშაობას და ამ დიად საქმეში გამარჯვებას.

**სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელი ამბობს:** მივესალმები ამ დიდებულ კრებას, ხალხის ნდობით აღჭურვილს; ვუსურვებ, რომ მან გამოსჭედოს თავის ხალხის და ქვეყნის ბედი, როგორც ამას ეწევიან ეხლა სხვა ერები. მოგაგონებთ, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივე არ არის და ამიტომ სარწმუნოებით მუსლიმანებმა და ეროვნებით ქართველებმა, საქართველოსთან ერთათ უნდა გამოსჭედოთ თავისი მომავალი. ვიმედოვნებ, რომ ეს კრება გამარჯვებული გამოვა ამ დიად საკითხის ჯეროვან გადაწყვეტით.

**თაჰსინ-ბეგ ხიმშიაშვილი ამბობს:** განმანთავისუფლებელ კომიტეტს დასახული ჰქონდა ორი დიდი მიზანი: რჯული და ეროვნება, მან ეს მიზანი ხალხის გულის სიღრმეში ნახა. ეს ორი მიზანი იყო მისი მანათობელი ვ რსკვლავი, რომლის ბრწყინვალე შუქში მან პოვა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის იდეა. ჩვენ ქართველი მუსლიმანები სჯულით ერთნი ვართ არაბებთან, სპარსელებთან, ალმანელებთან, თურქებთან და საზოგადოთ ყველა მუსლიმანებთან, მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ. აქ რომ თურქების პოლიტიკური ბატონობა იყოს, ჩვენ მაინც ავტონომიას მოვითხოვდით, როგორც მოვითხოვთ მას ჩვენ დედა-სამშობლო საქართველოსაგან. კომიტეტის უმთავრესი მიზანი ავტონომიაა. მაგრამ საკითხია, თუ რომელ სახელმწიფოს ფარგლებში უნდა იყოს ჩვენი ავტონომია. კომიტეტმა ამის პასუხიც ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან ამოიღო: ეს პასუხია—ერთობა ჩვენ ძმებ ქრისტიან ქართველებთან. საქართველოსთან ავტონომიურათ დაკავშირება. კომიტეტმა სამუსლიმანო საქართველოს ბედნიერება ამ მიზანში ჰპოვა და ეს პოლიტიკური გზა აირჩია.

**მემედ-ბეგ აბაშიძე ამბობს:** ჩვენთვის დღევანდელი დღე—ბრწყინვალე დღეა. ბრწყინვალეა მიტომ, რომ დღეს სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს და თავიანთი სვე ბედის დაცვა და გაძღოლა თავს იდვეს. ამ ყრილობამ თავისი წმინდა და დიადი მოვალეობა თავის სამშობლოსადმი აშკარათ აღიარა. მან თავისი ვინაობა სცნო და დაამყარა ისეთ საფუძველს, რომლის საშუალებითაც შეუერთდება თავის ღვიძლ ძმებს. ამ ყრილობის მნიშვნელობა დიადი არის მით, რომ მან საქვეყნოთ აღიარა: მე ვარ იმ ერის მოდგმის, იმ მიწა-წყლის ღვიძლი შვილი, რომლის სახელი საქართველო და ქართველია, რა თქმა უნდა—ბუნება თავისას გაიტანდა და გაიტანა კიდეც. დრომ და გარემოებამ ჩვენ გამოგვთიშა დედა საქართველოს, მაგრამ ჩვენ წინანდელ თაობის მიერ სამკვიდროთ გადმოცემული ეროვნული სულიერი ძალა ისეთი ძლიერი და შეურყეველი დარჩა, რომ ის კვლავ თავის დედა სამშობლოს დაუბრუნდა.

კარგად მოგეხსენებათ, ჩემო ღვიძლო ძმებო, რომ ჩვენი ცხოვრება მრავალი უკულმართობითა და უბედურებითაა სავსე. ჩვენ შეუდრეკელ ნებას, ჩვენს მისწრაფებას ბევრი სხვადასხვა მტრები ეფარებოდა, თავის ყალბ იარაღათ ხმარობდა, ბევრჯერ ჩვენი თავდადებით ისარგებლეს, რის გამო ჩვენი სამშობლოს ბევრი შვილი უცხო ქვეყნებში იქნა დასამარებული და მათი წმინდა საფლავი რომ მოვძებნოთ, ველარ ვიპოვით. კარგი ვაჟკაცები არიან ქართველი მუსლიმანებიო, ერთგულნი არიანო და ხან ოსმალეთში, ხან სერბეთში და სხვა ქვეყნებში გვაკვნესეს. ჩვენ მშობლებს და შვილებს გვაცილებდენ დიახ, ჩვენ სარწმუნოებით მუსლიმანები ვართ. მე ვიცი, რომ სამუსლიმანო საქართველოდან წავიდნენ ჩვენი სწავლული შვილები და იქ არაბებს და თურქებს სარწმუნოებას ასწავლიდენ. ჩვენ თუ მუსლიმანები ვართ, ხათრისთვის კი არ ვართ. ჩვენ ვაღიარეთ მაჰმადის სარწმუნოება, ვიწამეთ მისი დოგმატები და ამ გზას ვერავითარი ძალა ვერ ჩამოგვაშორებს, ამ რწმენას ვერ შეარყევს და ვერც ერთი მიმართულება წინ ვერ გადაგვეღობება. როგორც თაჰსინ ბეგმა მოგახსენათ, ჩვენთვის ძვირფასია ორი რამ: ერთი სარწმუნოება და მეორე ეროვნება. სარწმუნოებით მუსლიმანები ვართ, ეროვნებით ქართველები. რამდენათაც მტკიცეთ ვადგევართ ჩვენ სარწმუნოებას, იმდენათ მტკიცე და შეურყეველი ვართ ჩვენ ეროვნულ შეგნებაში. როგორც ვერავითარი ძალა ვერ გამოგვგლეჯს ჩვენს სარწმუნოებას, ისე ვერავითარი ძალა ვერ დაგვიბნელებს ეროვნულ შეგნებას.

ჩვენ, ჩემო მეზობლებო და ღვიძლო ძმებო, საქართველოს შვილნი ვართ. ჩვენ ამ ქვეყნის მიწა წყლიდან შემდგარი და შეზავებული ვართ. ამ მიწა წყლის ნაკვეთი ვართ. მიტომაც არის, რომ ჩვენი თანამემამულენი გვიყვარს და მათთან ერთათ გვსურს სიცოცხლე და სიკვდილი, გვსურს ერთობით გამოვჭედოთ ბრწყინვალე მომავალი, თავისუფლება და ბედნიერება. საქრისტიანო საქართველოს ბედნიერება ჩვენი ბედნიერებაა და მისი უბედურება არის ჩვენი უბედურება.

## ქართველ მწერალთა ბედი

(ცაბელი, პოლა ლომთათიძე, ვაჟა ფშაველა.)

Habeat sua fata—დიახ, ყველაფერს და ყველას აქვს თავისი ბედი. მწერალთა ბედიც ისა ყოფილა, რომ იგინი უნდა მოვიდნენ გაზაფხულის ცისკრის ნათელი სიხშრებივით ჩვენს ტიალს, გაუდაბნოებულს ცხოვრებაში აგვიყვავილონ სიყვარულის ყვავილები, მოგვგვარონ შვების ცრემლები, თვით კი მიიღონ გაუტანლობის კელამწუტა ეკლები და შემდეგ... შემდეგ გაილესონ სიკვდილის განუჭვრეტელს ჩრდილში.

ასეთები არიან, სხვათა შორის, ვაჟა ფშაველა, ჰოლა ლომთათიძე, ცაბელი, რომელთაც წყვდიადით გათანგულს საქართველოს დაანახვეს ლაჟვარდი ცის კამარა; ჯოჯოხეთურ ტანჯვაში მყოფნი დაიმედეს, რომ მართალია შორს, ძალიან შორს, მაგრამ მაინც არსებობს სიყვარულის ვარდის ფერი სამეფო, რომელიც მიღწეულ იქნება, უეჭველად იქნება მიღწეული, თუ კი გავყვებით მათს თილისმიანს ძახილს მშვენიერს, მზიურს მწვერვალებისკენ.

I

ცაბელი.

მართალია მძლავრთა-მძლავრი, არწივისავით ამაყად მყივანი არა ყოფილა ცაბელის (პარმენ თვალჭრელიძე) სიტყვა, მაგრამ მაინც გულსა სწვდებოდა იგი, მაინც გვატკბობდა და გვათბობდა.

იგი გველაპარაკებოდა, საიდუმლო ცხოვრებაზე მაშინ, როდესაც საშინელ ქაობად გადაქცეულიყო საქართველო და სიშმორე ჰმხამავდა ჰაერს.

დიდი აკაკი თუ ამ დროს მზეთ ანთო და თვისი ცხოველმყოფელ სხივებით აშრობდა ამ ჭაობს,—ცაბელი ობოლ ვარსკვლავათ ციმციმებდა და გზას უჩვენებდა ძებნით დაღლილებს.

ცაბელი რომანტიკი იყო, ხან მოგონების სერებზე მირბოდა, ხან სიყვარულის ბაღში ოცნებობდა, ხალხურ ლეგენდებს ამუშავებდა, ფანტასტიურ ელემენტით ამკობდა... აკაკისავით მდაბიურ და მსუბუქ ენით სწერდა... რა უყოთ, თუ მასავით ბუმბერაზ ძალას ვერ იჩენდა, იგი მაინც ისეთი იყო, რომელიც, შოთა რუსთაველის ენით რომ ვსთქვათ:

„დიდსა ვერ მოკლენ, ხელად აქვთ
ხოცვა ნადირთა მცირეთა“.

ასეთი პოეტის ლექსებიც, რა თქმა უნდა, საამოა და დამატკბობელი მიუხედავად იმისა, რომ დიდ ღირსებიან ნაწარმოების შექმნა არ ძალუძს... ამის აშკარა დამამტკიცებელია ცაბელის „გურგენ რაინდი“; „უკვდავი სარდალი“, „ზაალი“, ხალხში სიმღერათ გავრცელებული „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“. ბუნების კარში მოთავსებული ლექსები „ბებია და მისი შვილები“, „ნინოს საფლავი“. ეს უკანასკნელი ასეთის ნაზის სტრიქონებით თავდება:

„სადაც ჩასწვეთს დედის ცრემლი,
ყველგან ია ამოვაო“.

ვინც ცაბელის ნაწერებს გაეცნობა, თამამად შეუძლიან სთქვას: თუ კი ქართული ლიტერატურის პანთეონში რაიმე ადგილი დაეთმობათ მამია გურიელს, დუტუ მეგრელს, გრიგოლ ვოლსკის, გრიგოლ აბაშიძეს—იქ ცაბელიც უნდა იყოს უეჭველად.

# დღეს

ფრანგული პრესის ცნობით გერმანიის რეიხსტაგი ახლო ხანში გააუქმებს კონსტიტუციის მუხლს, რომელიც ეხება ავსტრია გერმანიის გაერთიანებას.

ჩიჩერინმა ნოტა გაუგზავნა რიგის, ლიტვის და ფინლიანდიის მთავრობებს და აუწყა, რომ საბჭოთა მთავრობა აგრესიულ პოლიტიკას არ აწარმოებს მათ წინააღმდეგ.

გერმანიაში ნახშირის დიდი ნაკლებობაა.

23 აპრილიდან ბრემენში გამოცხადებული საალყო წესები მოხსნილ იქნა.

---

მე არ ვიცნობდი ცახელს პირადათ. ვერც მისი ბიოგრაფია გავიგე, მაგრამ მის მაგიერობას ვგონებ გ სწ ვს მისი ერთი ლექსის შემდეგი ნაწყვეტი:

ხალხის მწარე ბედ ილბალზე
ცრემლი ვღვარე მრავალი,
მაგრამ ცრემლი ცრემლად დარჩა,
ვერ დავძლიე მტარვალი.
გული გატყდა, დასცხრა სულიც,
თმა შევჭერლდა ჭაღარით,
ხალხის ბედის აყვავება
აღარ ძ ლ მიძ ლარ რით...
. . . . . . . . . . . . . .
ჩემი ქვეყნის მწარე მედით
ჩ მი ბ დიც ჩაბნელდა,
წარმეკვეთა ასოება
და შავ სევდის მკლავს ელდა.

სამწუხაროდ მარტო ეს შავი სევდა არ აკმარეს მგოსანს და როგორც რაჭიდან იუწყებიან ვიღაც ავაზაკებს ტყვიით გაუგმირავთ იგი..

როგორ შეჰხვდა ამ შემაძრწუნებელს ამბავს ქართველი საზოგადოება? მართალია, დიდ ხანს არა გრძელდება ხოლმე მისი გლოვა, მაგრამ პირველ დღეს მაინც დიდის „ზარით“ იცის მოთქმა-ვაგლახი... არ ვიცი რითი ავხსნა და ცახელის სიკვდილმა ეს ხან-მოკლე ჭმუნვაც ვერ დაჰბადა მასში. ქართულ გაზეთებში, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონით იყო ცნობა, რომ ამა და ამ ადგილს მოჰკლეს პოეტი ცახელიო. ეს იყო და ეგ. კაცმა იმდენი ლექსები გვიანდერძა, იმდენი მშვენიერი ყვავილები უძღვნა ჩვენს მოზარდ თაობას—ჩვენ კი ასე გულდამშვიდებით შევხვდით მის სიკვდილს. ისიც კი არ გაგვიგია, თუ სად და როგორი დაასაფლავეს.

II

ქოლა ლომთათიძე.

ტკბილია ქოლას ამუსიკებული დღიურ-მოთხრობები, როგორც სიყვარულის ნაზ სევდით მოთვალ მარგალიტებული მისი სიცილი, მაგრამ ანგარი ცხოვრების ტლანქი ანგარიშით გატაცებულ საზოგადოების დიდ უმრავლესობას არ ესმის, არა სწამს ეს სიყვარული და ამიტომ არც იცის რაა ქოლას ნაზ-სევდიანი სიცილი. ამ ჟამათ აზრად არა მაქვს შევეხო ქოლას შემოქმედებას. ახლა მინდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ თუ ვისმეს ნაწერები უბედურს ვ რს კვლავზე დაბადებული—ეს პირველ ყოვლისა ქოლას მოთხრობებია.

ციხეში გამომწყვდეულს ქოლას აკრძალული ჰქონდა წერა, და რაკი არ იშლიდა, ბევრი ხელნაწერი დაუწვეს, ბევრიც დაეკარგა ჩვენს რედაქციებში. რომელნიც უოველ წუთს პოლიციას ელოდნენ და ამის გამო სათანადოდ ვერ უვლიდნენ მასალებს. სამწუხაროდ, არც ახლაა მისი ნაწერები დაზღვეული დაკარგვისაგან, თუმცა დიდის ამბით გადასწყვიტეს მისმა გულშემატკივრებმა ცალკე გამოეცათ მისი ნაწერები. საჭირო თანხაც მალე შეგროვდა, მაგრამ ქოლა იმიტომ იყო ქოლა, რომ ყველგან უიღბლობა სდევდა და აქაც, რაღა გასაკვირველია, რომ გაეჯანჯლებოდა საქმე. ომიანობამ ზღაპრულათ გააძვირა ბეჭდვის საქმე და ქოლას ნაწერების გამოცემა გადაიდო... დრო კი თანდათან უარესდება და გაძვირების ზრდას დასასრული არ უჩანს. იმის ცდა, თუ აცა, როდის გამოიდარებს, და როდის ჩამოვარდება სიიაფე—ყველამ შეგნო, რომ ამაო იყო და ამიტომ შეუდგნენ ბეჭდვას ვისაც რა ჰქონდა გამოსაცემი.

წიგნების მაღაზიების ყაფაზაზა და თაროებზე გამოჩნდა ახალ ახალი წიგნები. შეჯიბრებაც კი დაიწყო. აბა, რომელი მწერლის ნაწერები დაიწოებოდა გაოვლასთა როგორც ძველად, ახლაც ზოგი ისეთი ნაწარმოები გამოდის, რომელთაც უვალა ღირსება ამკობს, გარდა ერთი „პატარა“, სრულიად „პაგიწა“ ნაკლულევანებისა—ყოვლად მოკლებული არიან მხატვრულ ნიჭს... ამავე დროს ქოლას ძვირფასი ნაწერები ელიან, ივ ელიან ქილალდის გაიაფებას. უცნაურია ჩვენი ცხოვრება. თუ ჰაიჰაია კაცი ხარ, თუ წერა მარა თვალში ეხირები, თუ სკვეთავთ რედაქციის და გამომცემელთა კიბეებს, თუ ასოთ-ამწყობებ აც კი თავს აბეზრებ მუდარით, რომ ხელი შეუწყონ შენი ნაწერების გამოცემას,—მაშინ უმნიშვნელო ვინძეც რომ იყო, ბუზბერაზად გადაიქცევი, ჭიანჭველას აქლემს გაშობინებენ და ნაინატრად გამოსცემენ შენი კალმის ნაცოდვილარს; ხოლო, თუ სიკვდილის ბნელმა ზმანებამ დაგიხუჭა თვალები, მაშინ თუნდაც დიდი მწერალი იყო ქალაავითო—ნადირის ელი, ძმაო ჩემო, ნურავისაგან... უმი რძით გამოკვებულ ბავშვსავით უდღეური ალმოჩნდება შენი სახელი ამ ქვეყნად. მახსოვს იგი ერთხელ ასტრახანიდან მწერდა, რომ „სიყვარულმა დრო და მანძილი არ იცის, რომ ის, ვინც გიყვარს მარად და ყველგან შენთან არის“. ნეტავი კი მართალი გამოდგეს მისი სიტყვები და, მიუხედავად იმისა, რომ ჟამის ქარავანმა დაგვაშორა იმ წუთს, როცა ჩვენ მისდამი ულრმესი სიყვარულით გამსჭვალულნი ვეფიცებით არ დაიწყებას—ნეტავი ეს სიყვარული, დღეს მიმალული, მართლა უკვდავი აღმოჩნდეს და აგვასრულებინოს ქოლას გულითადი ნატვრა: მისი ნაწერების გამოცემა.

III

ვაჟა ფშაველა.

— ვაჟა რაღა შუაშია?!—შეიძლება გაგულისებით იკითხოს მკითხველმა. მართლაც და ერთის შეხედვით თითქოს ვაჟას აზრდილს სამდურავი არ უნდა ჰქონდეს რა, შესრულებულია მისი მეორე ზრ. მისი ნაწერები, თუ ერთად არა, ცალკ-ცალკე მაინც გამოცემულია, მას ასწავლიან ყველა სასწავლებელში, მის შესახებ ჯერაც არ შეუწყვეტიათ წერა ჩვენს ნიჭიერს და უნიჭო კრიტიკოსებს და... მაინც დიდი უპატივცემულობას ვხედავ ვაჟას ხსოვნის წინაშე.

მკითხველს ხუთში ვეწვიე ვაჟას საყვარელ ფშავის კვლავც მთებს. როდესაც ვაჟას სოფელს ჩარგალს მივადექი, გულმა არაჩვეულებრივი ფანცქალი დამიწყო. ნუ თუ ბედნიერება მომეცემა შევხედო იმ მთებს, რომლებიც ცისმარე დილა საღამო ეტრფიალებოდა ვაჟას ოცნება და ვნახო ის სახლი, სადაც დაიწერა უკვდავი ლექსები და პოემები მეთქი. ის იყო შევდგი ფეხი ვაჟას კარ-მიდამოში, რომ ცა მოიღრუბლა და ნელი, ნაღვლიანი წვიმით იწყო ტირილი. გამახსენდა ვაჟას „გველის მჭამელიდან“ ტაეპი:

„როცა კი რამ დაუბადნია
უფალს სულიერ უსულო,
ყველასა თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა უსულო.

ვიფიქრე: ალბად ვაჟას საყვარელი საბინადრო ღირსეულად არ არის მოვლილი და ამას თუ სჩივის მასგან გასულიერებული ბუნება მეთქი, და არც მოვტყუებულვარ. წავადექი ვაჟას სახლსა და გულმა მწარეთ შემომჯენა. არაფერი, არაფერი მოწმობდა იმას, რომ იქა ცხოვრობდა ის დიდი მგოსანი, რომელსაც

„...ესმოდა ყოველი
რასაც ფრინველნი გ ლობენ
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ—წვალობენ“

ის ქოხი, სადაც ვაჟას უტარებია თვისი ცხოვრება, ისე საბრალოდ მოკაკვლიყო წელში, თითქოს გამვლელსგამომვლელს ევედრებოდა: შენს გახარებას ერთი აარგილი რამ შემიდგი, ემანდ არ წამოვიქცე და არ დიმეფშხვნას დაბერებული ძვლებიო.

შევედი ვაჟას ოთახში და იქ უფრო მომიკვდა გული. არც სად წიგნი, არც გაზეთი, არც ვაჟას სურათი, არაფერი არა სჩანდა, რომელიც აფიქრებინებდა კაცს, რომ აქა სცხოვრობდა მთის არწივი ვაჟაო.

პარიზში თურმე საგანგებოდ ინახავენ იმ კალმის ტარს, რომელიც უხმარნია ვიქტორ გიუგოს—ჩვენ კი, კალამი კი არა, ვაჟას სახლისთვისაც ვერ მოგვიცლია... რა სახლი, როცა მისი ბავშვები საკოდაობაში არიან. დახეულ დაკონკილი ტანისამოსით ფეხ შიშველნი აბუზული წიწილებივით დადიოდნენ ლოფში.

ამაზე უბედურება გაგონილა? ქართულ პოეზიის ქურუმი იყო და შენი ყოფნის კვალიც არ ეჩნეოდეს იმ ადგილს, საცა შენი ოცნება არწივის ფრთებით და ამაყი გაფრენით დაქროდა... 

დ. თურდოსპირელი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

13 სექტემბერი.

გერმანული პრესის ცნობები.

ჰელსინგფორსში ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა: „ინგლისი აღარ მიიღებს ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიურ მონაწილეობას, ვინაიდან ამგვარ შეხედულობას ინგლისის პოლიტიკურ წრეებში მიმდევარი აღარ ჰყავს.

აღმოსავლეთ პრუსიის სოციალისტთა კონგრესზე პრემიერმა ვინინგმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მოელის აღმოსავლეთ პრუსიას. ვინინგმა მიუთითა სამს უმთავრეს საფრთხეზე. გაწევა აღმოსავლეთ ფრონტიდან გერმანულ ჯარებისა და ამით გზის გახსნა ბოლშევიკებისათვის. პოლონელების აგიტაცია, ვინაიდან პოლონელებს ძალით სურთ დაიპყრონ გერმანიის ისეთი პროვინციები, რომლებშიაც საჭიროა მოხდეს მცხოვრებთა შეკითხვა და დასასრულ კარზე მომდგარი ეკონომიური გასაჭირი, უმთავრესად ნახშირის უქონლობით გამოწვეული.

სახალხო კრებამ ქ. ალენშტეინში თხოვნით მიმართა გერმანიის მთავრობას, რათა ყურადღება მიაქციოს ზემო სილეზიაში მცხოვრებ გერმანელთა აუტანელ გასაჭირს და მათ ბრძოლას პოლონელებთან.

შვეიცარიის მთავრობამ მიიღო ახალი კანონი, რომლითაც გადიდებულ იქნა ტელეგრაფისა და ტელეფონის გადასახადები.

ეკონომიურ საკითხთა განხილვის დროს ჩრდილოეთ-გერმანიის სახსნხნო საზოგადოების დირექტორმა სხვათა შორის სთქვა: საზავო ხელშეკრულების ძალით გერმანიის ეკონომიური ცხოვრება თითქმის განადგურებ ლია. დღითი დღეობით გერმანიის საზღვაო მიმოსვლა თავისთავად გაუქმებულია, ასე რომ ძნელი სათქმელია რას შეუძლია კიდევ უფრო დააქვეითოს ჩვენი საზღვაო ვაჭრობა.

საალყო წესები გამოცხადებულია ქ. ბრემენში 25 აპრილიდან, მოხ ნილ იქნა ებერტის განკარგულებით.

აგვისტოს და მლეს მოვიდა გერმანიაში პირველი გემი ხორბლეულობით.

ნახშირის ნაკლებობამ თვით რურის რაიონშიაც იჩინა თავი. მიულჰეიმი იძულებული იყო ნახშირის სიმცირის გამო სინათლის გაზი საგრძნობლად შეემცირებინა. აგრეთვე დიუსელდორფში 30 პროც. შემცირდა ქონეულობის ულუფა, ვინაიდან მისი დამამუშავებელი ქარხნებში ნახშირის უქონლობის გამო ვეღარ აწყობენ საქმაო საქონელს.

გერმანიის რკინის გზები უცხოელთა საკუთრებათ ხდებიან და საზღვაო ვაჭრობაც, როგორც რეინზე, აგრეთვე ვისლაზე უცხოელნი უწევენ კონტროლს. ლოტარინგიისა და ლუქსემბურგის ქარხნები საქონელს უცხოელებისათვის და მზადებენ და უცხოელთა გემებით იქნება გაზიდული, ცდილობენ აგრეთვე გერმანიის ნავთსადგ. მუშაობის შეცვლებას. საზავო ხელშეკრულების ძალით ანტანტამ უფლება დაიტოვა ისარგებლოს რკინის და საზღვაო გზებით გერმანიის შიგნით. აგრეთვე დაიტოვა უფლება კავშირი შეკრას გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან, ხოლო გერმანია ვალდებულია თანხმობა განაცხადოს აღნიშნულ პირობებზე უკ მათოდ. გარდა ამისა, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეთმო ნაწილი ჩვენი თავისუფალი ნავთსადგურისა პოლონეთისათვის. გერმანიის საზღვაო ვაჭრობა კიდევ მეტს დაკარგავს, უკე თუ მონაწილეობა არ ექნება საგარეო ვაჭრობაში და თუ მისი კონცესიები ჩინეთში გაუქმებულ იქნებიან, როგორც საჰარა ციმბირისა, მაროკოსა, და ეგვიპტეში, ხოლო კერძო საკუთრება გერმანელ მოქალაქეთა ჩამორთმეული, გერმანიის მთავრობა ამის გამო სცდილობს მჭიდრო კავშირი დაიჭიროს პრუსიასთან, რომ ამით მშვიდობიანობა და წესრიგი დაამყაროს ზემო სილეზიაში.

ფრანგული პრესის ცნობები.

დღეს დილით ავსტრიის კანცლერმა სენ-ჟერმენში საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. რუმინიისა და სამხრეთ სლავიანთა დელეგატებმა ითხოვეს რამდენიმე დღე ზავის პირობების ხელის მოსაწერათ.

უმაღლესი საბჭოს დადგენილებით საზავო პირობები ბულგარიის დელეგატებს მომავალ კვირაში ჩაჰბარდება.

როგორც ამბობენ, მომავალ კვირაში მოხდება რეიხსტაგის სხდომა, რათა გაუქმებულ იქნას მუხლი ავსტრია-გერმანიის გაერთიანების შესახებ.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, ენკ. 12. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა რიგისა და ლიტვის მთავრობებს: „რუსეთის საბჭოთა მთავრობამ უკვე მისცა წინადადება. რევალის მთავრობამ ეს წინადადება მიიღო. საზავო მოლაპარაკება რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება. რუსეთის საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი საკმაოთ არკვევს, რომ მას არავითარი აგრესიული მისწრაფება არ აქვს ყოფილ რუსეთის იმპერიის განაპირა კუთხეებში ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოების წინააღმდეგ. გ. რუსეთის საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს რიგისა და ლიტვის მთავრობებს დაიწყონ მოლაპარაკება სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე და საზავო პირობების გამომუშავების შესახებ. ჩიჩერინმა გაუგზავნა ნოტა აგრეთვე ფინლიანდიის მთავრობასაც:“ მიუხედავად განუწყვეტლივ ფინლიანდიის ხმლეთის და საზღვაო ძალთა რუსეთის რესპუბლიკაზე თავდასხმისა და ჩვენს წინააღმდეგ შეუწყვეტელ მტრულ მოქმედებისა, რუსეთის რესპუბლიკა ყოველთვის თავს იჭერდა ფინლიანდიის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედება დაეწყო. ფინლიანდიის რაზმა შემოიჭრა ოლონეცის გუბერნიაში. და რამდენიმეჯერ სცადა ბელოოსტროვთან გადმოლახა საზღვარი. გადმოსხა ჯარი, ფინლიანდიის ყურეს სამხრეთ ნაპირზე ფინლიანდიის ხომალდემა ზარბაზნები ესროლეს კრონშტადტს, მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს რუსეთის მშვიდობიან მცხოვრებლებს.

რუსეთის რესპუბლიკაზე ყველა თავდასხმა უშედეგოთ თავდება. ახლო მომავალში რუსეთის რესპუბლიკის ტერიტორია გაწმენდილი იქნება მტრის შემოჭრილ რაზმებისაგან. ვიმედოვნებთ, რომ რადგან ყველა ფინლიანდიის მიერ მოწყობილი თავდასხმა სასურველ ნაყოფს ვერ იძლეოდა, ფინლიანდიის მთავრობა შემდეგში უარს იტყვის რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკაზე. საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს ფინლიანდიის მთავრობას დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკება სამხედრო მოქმედების შესაწყვეტათ და საზავო პირობების გამოსამუშავებლად. ფინლიანდიის მთავრობის უარი სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოების დაწყებაზე მთელს მსოფლიოს და აგრეთვე ფინლიანდიის ხალხსაც უჩვენებს, რომ ფინლიანდიისა და რუსეთის რესპუბლიკის შორის განუწყვეტელ სამხედრო მოქმედების გამომწვევი არის მხოლოდ ფინლიანდიის მთავრობა. შემდეგი მტრული მოქმედება რუსეთსა და ფინლიანდიის შორის პასუხის საგებლით დააწვება ფინლიანდიის მთავრობას.

მოსკოვი, ენკ. 12, სამხედრო ცნობებიდან. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილოეთ დვინის ორივე ნაპირზე ჩვენ ბრძოლით დავიჭირეთ სოფლები. დასავლეთის ფრონტი. დვინსკის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ტყვეები წამოვიყვანეთ. ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა ბორისოვი დაეტოვებია. ბობრუისკის მიმართ. ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება. სადგ. კარისტენის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ახალი პოზიციებისკენ დაიხია. სამხრეთის ფრონტი. ვორონეჟის სამხრ. ჩვენი შეტევა ვითარდება უსტ-ბუზულუკის სამხრეთ დასავლეთით ჩვენი შეტევა ვითარდება. ცარიცინის ჩრდილოეთით 30 ვერსზე ჩვენ ახალი პოზიცები დავიჭირეთ თურქესტანის ფრონტი. ცარიცინის რაიონში უშაკოვი ავიღეთ. ტაშკენტის რკ. გზაზე ჩვენი შეტევა ძლიერდება. ჩვენი ცხენოსანი ჯარი ქალ. ტემირს უახლოვდება. ქ. ნიკოლსკის დაჭერის დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები. ტყვიისმფრქვეველები და სხვა მრავალი სამხედრო ქონება. ტაშკენტის ჯგუფი ჩვენმა თურქესტანის ნაწილებმა სადგ. ჩიკუსუ დაიჭირეს. აღმოსავლეთის ფრონტი. ომ მის რკ. გზის ორივე მხარეზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ არის. ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ. ტობოლსკის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს.

ლონდონი ეკკ. 5. „ასოსიეიტედ პრესს“ იუწყება: პეკინიდან მოსული ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობებით, ომსკის მთავრობა გადაყენებულია. მოსკოვი, ენკ. 12. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გერმანიის მუშებს შემდეგი რადიო დეპეშა გაუგზავნა: გერმანიის მთავრობა ოფიციალურად ვითომ არ ერევა რუსეთის დემოკრატიის კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ არსებითად ის ამზადებს ვერაგულ თავდასხმას, რომელიც სხვა კონტრრევოლუცი. ძალებთან ერთად რუსეთის მუშათა რევოლუციის საწინააღმდეგოთ არის მიმართული. გერმანიის მთავრობა გერმანიაში მყოფ რუს სამხედრო ტყვეებს დენიკინთან, ან იუდენიჩთან აგზავნის და ამ მოქმედებას ანტანტის ძალდატანებით ხსნის, ვითომ რომლის გავლენის ქვეშ არიან გერმანიაში სამხედრო ტყვები. მაგრამ რით შეუძლია თავი იმართლოს გერმანიის მთავრობამ, როდესაც მის მოქალაქეებთაგან ათი ათასობით ახალგაზრდანი ემზადებიან აღმოსავლეთში გასაგზავნად, სადაც მათგან არსდებენ რაზმებს რუსეთის რევოლუციის და ლატვიის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის მთავრობამ არა თუ არ იცის ამ მზადების საქმე, არამედ ეს მისი სანქციით ხდება. ასეთივე მიზანი აქვთ ნამდვილ გერმანელ რაზმებსაც, რომლებიც ლიტვაში და ლატვიაში მოქმედებენ გერმანიის და რუს გენერლების ხელმძღვ ნელობით.

ახალ ამბოებს, რომლებსაც ბალტიის მხარეში ჩვენი გენერლები აწვდენენ, მიზნათ აქვთ აგრეთვე შეტევა გერმანიის რესპუბლიკაზეც, რათა აღადგინონ მონარქია. მოგიწოდებთ თქვენ, გერმანიის მუშებს, გაანადგუროთ მთელი ქვეყნის რეაქციის ახალი ცდა არა მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენგან ძმურ დახმარებას მოელით ჩვენი კლასიური მტრის წინააღმდეგ, არამედ იმიტომაც, რომ უმთავრესად ჩვენ წარმოვადგენთ იმ საიმედო რომლის მიზნად აქვს ამოღებული, მოფლიო რეაქციის. უდიდესი მსხვერპლი მოაქვს რევოლუციონერ მუშათა კლასს, მტრებთან ბრძოლის დროს. გაიგეთ თქვენც, გერმანიის მუშა-ამხანაგებო ყოველივე ეს, რაც თქვენ შეგიძლიათ, რომ თქვენმა მარ თვლმა კლასმა ვერ შესძლოს ახლი კონტრრევოლუციონური ძალის შექმნა და რუსეთის წინააღმდეგ წაისვლა, რომ ჩვენი დაიცვათის შედეგ თქვენსკენ იბრუნოს პირი.

# ახალი ამბები

20 ენკენისთვეს, საღამოს 6 საათზე ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ს. ს დ. მუშათა პარტიის საკონტროლო კომისიის სხდომა.

**ძლიერი აფეთქების ხმა** გაისმა ორჯერ ზედი ზედ მთელს ქალაქში გუშინ დაახლოვებით ნაშუადღევის პირველის ნახევარზე. გამოირკვა შემდეგი: რუსთაველის პროსპექტისკენ ვერის დაღმართზე მთავრობის ავტომობილით მიდიოდენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი გენერალი ბარათოვი და ქართული ლაშქრის გენერალი ოდიშელიძე. როცა ავტომობილს ჯერ კიდევ არ გაევლო ქუჩის ის ადგილი, რომელიც ყოფილ ბირჟის მოედანს აკრავს, მას ორი ყუმბარა ესროლეს. აფეთქება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ახლო-მახლო ფანჯრის შუშები სრულიად ჩალეწა. მოკლულ იქნა შოფერი და მისი თანაშემწე, სასიკვდილოთ დაიჭრა შემთხვევით იქ გამვლელი „მეტაჩკე“. თავში დაიჭრა გ ნ. ბარათოვი. მძიმეთ—გენერალი ოდიშელიძე, რომელიც ყუმბარის ნატეხებით რამდენიმე ადგილას არის დაჭრილი. მსროლელი ხიდის მიმართულებით გაიქცა, რომელსაც მილიციელები დადევნენ და რა შეიტყო, რომ მას დაეწიენ, ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო. ნაპირზე გამოტანისას დამხრჩვალს აღმოაჩნდა სხვადასხვა დოკუმენტები. პირადობის მოწმობაში სწერია, რომ ის არის რაჭის მაზრის მცხოვრები ლეჟავა. უბის წიგნში ჩაწერილი აღმოჩნდა ფული სხვადასხვა ნოტებში. ჯიბეში აღმოაჩ და ფულები, ქუჩების გეგმა და სხ. შეპყრეს აგრეთვე ორი თავდასხმელთაგანი—გარეგნულის შეხედულების რუსი დამუსლიმანი. აფეთქების ალაგას სწრაფლ მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქის თავი, მთავრობის თავმჯდომარე. დაჭრილნი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. სწარმოებს სასწრაფო გამოძიება.

**სახალხო გვარდიის** წარმომადგენელთა ყრილობა გაიხსნება 14 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ზუბალაშვილის სახალხო სახლში. დღის წესრიგი პირველი სხდომისა: 1) თავმჯდომარის არჩევა, 2) მილოცვები, 3) სამანდატო კომისიის არჩევნები. ამავე დღეს საღამოს 7 ს. ნ. ჟორდანია გააკეთებს მოხსენებას „თანამედროვე მომენტი და სახალხო გვარდიის მიზნები“. სხდომა საჯაროა.

**დონის ოლქიდან** ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს კონსული დ ქიქოძე. მასთან ერთად ჩამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალ. ვ, რომელსაც მინდობილი აქვს დონის მთავრობის სახელით მოლაპარაკება აწარმოოს ჩვენს მთავრობასთან სხვა და სხვა საკითხების შესახებ. როგორც გადმოგვცემენ, მოლაპარაკების მთავარი საგანი იქნება ნორმალური ურთიერთობის დამყარება საქართველო დონს შორის ეკონომიურ სფეროში.

**დამფუძნებელ კრების** დამატებითი არჩევნების დამტკიცება შეჩერებულია სვანეთიდან არჩევნების შედეგის მიუღებლობის გამო. მასალას სვანეთიდან კიდიებენ ამ დღეებში.

**ქხანკა-კავთისხევის შუა** ბოროტგანზრახვით ლიანდაგიდან გადავარდნილ მატარებელში მ ხდომთაგან მოკვდა წინა ვაგონის 1 კონდუქტორი. მძიმეთ დაიჭრა მემანქანე კოლოსოვსკი და მსუბუქათ დაიჭრა რამოდენიმე მგზავრი.

**ხიდნალის** საპყრობილედან გაქცეულა 8 ტუსაღი.

**ქართველ მუსულმანთა** დელეგაცია. 12 სექტემბერს წარუდგა ამიერკავკასიის უმაღლეს კომისარს პოლკ. ჰასკელს და ინგლისის პოლიტიკურ მისიის თავმჯდომარეს, მისტ. უორდროპს ბათუმის ოლქის მუსულმანთა მიერ 31 აგვისტოს გამოტანილ დადგენილების შესახებ მოსალაპარაკებლათ. მოხსენება ამ საგანზე გულდასმით იქნა მოსმენილი; მოხსენებას მოჰყვა ხანგრძლივი ბაასი. დელეგაცია ბათუმში მიემგზავრება დღეს.

**ავსტრიის ტყვეობიდან** ესლახან სამშობლოში დაბრუნებულნი, ვუძღვნით ხათისავ-მეგობარ-ნაცნობთ გულითად სალამს. ვერ ვუმადლებთ ყოველივე კარგს და ვთხოვთ, უკეთუ სრულიად არ დავივიწყეთ, გამოგვეხმაურონ. პატივისცემით ვლადიმერ ასკურავა (ლანჩხუთი, გურია). ისიდ. მახარაძე (ქვედა ბახვი, გურია).

**სამხედრო სამინისტროს კულტურულ** განმანათლებელი სექცია სცემს ჟურნალ „მხედარს“; რედაქცია მოუწოდებს ყველას, ვისაც კი შეუძლი ნ თანამშრომლობა გასწიონ ხსენებულ ჟურნალში, მოაწოდონ წერილები შემდეგი მისამართით: ბარიათინის ქუჩა, სამხედრო სამინისტრო, კულტურულ განმანათლებელი სექცია. ჟურნალ „მხედრისათვის“.

**სადმშენებლო მუშების პროფესიონალურ** კავშირმა დაადგინა ყველა სახლის პატრონებს, მოიჯარადრეებს და დაწესებულებებს სთხოვოს სხვადასხვა სადმშენებლო სამუშაოს შესასრულებლათ მიიღონ მხოლოდ ის მუშები, რომლებსაც თან ექნებათ სამარითო პლატის დ ფუნ ეპს თანახმად უჭუგენილი წიგნაკები, მასში კატეგორიის და სამუშაო სამუშაოს დაშვებულება, არა სხვისი მუშების მიერ, შეჩერებული იქნება პროფესიონალური კავშირის მიერ. ამ დადგენილებას მიზნათ აქვს მუშათა ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

**ქალაქის გამგეობის ბინის** განყოფილება აცხადებს იმ სახლის პატრონთა საყურადღებოთ, რომელთა შენობები დაცარიელდა ინგლისელთა ჯარის წასვლით, რომ მათ არა აქვთ უფლება ამ შენობების იჯარით აცემისა სათანადო განკარგულების გამოცემამდე.

**წერა კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ განათლების სამინისტროდან მიიღო 200 ათასი მან. დახმარება სახელმძღვანელოების დასაბეჭდავათ. დამტკიცებულია 100 ათასი ცალი სხვა და სხვა სახელმძღვანელოები.

**სახალხო გვარდიის** მთავარმა შტაბმა ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ამხანაგ ხუხუნაიშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა ქუთათური ამხანაგები ძლიერ დაგვაღონა. გმირი იყო და გმირული გამოსავალი ნახა“.

**ტფ. მიწადმზომელთა** სასწავლებელი აცხადებს, რომ პირველ კლასში თხოვნის მიცემა გაგრძელებულია პირველ ოქტომბრამდე. გაერთიანებულია პირველი და მეორე კლასი. გამოცდები პირველს კლასში ქართულ ენაზე მოხდება 1872 წლის დებულ. არსებულ საქალაქო სასწავლებლისა ან უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის კურსის ფარგალში. თხოვნების მიცემა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე შეძლება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 ს. (გუნიას ქ. № 46)

**უმაღლეს საინჟინერო სასწავლებელში** მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე. ლექციების კითხვა დროებით იქნება სახალხო უნივერსიტეტის სადგომში (მიხეილის ქ. № 91).

**ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ზ ჭიჭინაძის „სოლ ლოდაშვილი და ნ კოლოზ ბარათაშვილი ფარულ საზოგადოების წინაშე“. ფასი 2 მან., „ისტორია ფარულ საზოგადოებისა“. ფასი 2 მან.

**ვიპოვნე,** 12 სექტემბერს თავისუფლების მოედანზე ხელწერილი იოსებ სიჩინოს ძე გოგართლისა, რომლიც მას მიუკია მილიჭულ ასი თუმნის საბუთათ იოსებ და ალექსანდრე სიმონის ძე მაჭავარიანებზე ათვის. ხელწერილთან ერთად მოჰმობა. მიღება შეიძლება ჩემ ბინაზე: არაგვის შესახვევი, სახლი ქარცივაძიშვილისა, № 11, ნატო ბაკლაძე.

**კინემატოგრაფი ხოფლად** დაბრუნდა ტფილისს ლატარიის საგანგებო კომისია, რომელმაც მოიარა გურია, პირველ ქართულ კინემატოგრაფიულ სომებით. მოიარა: ლანჩხუთი, სუფსა, ოზურგეთი, ლიხაური, შემოქმედი, დვაბზუ, ბახვი, ხიდისთავი და ჩოხატაური, იქიდან საჯავახოდ ნ რკინის გზით სამტრედიამდე ჩავიდა და გადავიდა ხონს, სადაც მოწყობილი სეანსი. ხონიდან ქუთაისს აპირებდა იმერეთის სოფლების მოვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, გუბის წყალში ისე დაზიანდა ავტომობილის უკანა ბორბლების რეზინა, რომ მის გამოსაცვლელად საჭირო შეიქნა ტფილისს დაბრუნება. საზოგადოება ყველგან მრავლად ესწრებოდა სეანსებს და მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. სეანსების დროს პოეტი გ. ქუჩიშვილი თვისი მახვილი ლექსებით აღტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება.

**საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიის** სიმხურმა სექციამ მიიღო არსენალის კულტურულ განმანათლებელ სექციისაგან 950 მან. 90 კაპ. ახალქალაქის ლტოლვილთა სასარგებლოთ.

**ახალი გაზეთი.** დღეს გამოვა სომხურ ენაზე პირველი ნომერი საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის სომხურ სექციისა „ზანგ“ ძაინ“ (მუშის ხმა). პირველ ხანებში გაზეთი იქნება კვირეული.

**სახალხო სახლი.** ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე 1919 წ.—20 წ. სეზონისათვის იწვევს სცენის მოყვარეთ და თანამშრომლებს, რომელთაც მიეცემათ ჯილდო. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—7 ს. „წრის“ ბინაზე, (პლეხანოვის ქ. № 102).

ქ რ ე ბ ე ბ ი.

კვირას, 14 სექტემბერს, დილის 10 საათზე აჯალის აუდიტორიაში კუკიის ძლიერე კოლექტივი იწვევს მეცხრე და მეათე უბნის საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პ. წევრთა საზოგადო კრებას მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ლევან ხათაძე.

პროვინციის ქრონიკა.

ხაშურის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების პედაგოგიური საბჭოები ამით აცხადებენ, რომ ის მოწაფეები, რომელთაც

...ული სამსწავლო წლის ფული არ შემოუტანიათ, მეცადინეობებზე მიმდინარე სამსწავლო წელს არავითარ შემთხვევაში დაშვებული არ იქნებიან.

## შრომის სამინისტროსაგან

(ცირკულიარი ყველა სამუშაოს მიმცემთ, მათ ორგანიზაციებს და შრომის სამინისტროს ყველა კომისრებსა და რწმუნებულებს)

შრომის სამინისტროში მოვიდა ცნობები, რომ ზოგიერთი სამუშაოს მიმცემნი, რომლებიც თავის მუშებს აძლევენ სურსათს იაფ ფასებში, უარს ეუბნებიან ამ საგნების მიცემაზე მუშებს—სახალხო გვარდიელებს, როცა ეს უკანასკნელნი ფრონტზე მიდიან.

შრომის სამინისტრო ამით აცნობებს ყველა სამუშაოს მიმცემთ, რომ თანახმად კანონისა სახალხო გვარდიის შესახებ, სახალხო გვარდიელებს ენახებათ სამსახურში ადგილი და ყველა ის პრივილეგიები, რომლებიც სამსახურში შემოღებულია.

ამიტომ, თუ მუშა,—სახალხო გვარდიელი ფრონტზე წავიდა, მისი ოჯახი უნდა სარგებლობდეს ყველა იმით, რითაც სარგებლობდა ის მისი მუშაობის დროს სამუშაოს მიმცემთან, მათ შორის უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს სურსათი იაფ ფასებში, სადაც ეს შემოღებული იყო წინად.

შრომის სამინისტროს კომისრებმა და რწმუნებულებმა ევალებათ დაიცვან ინტერესები მუშა-სახალხო გვარდიელების ოჯახებისა.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე.
საქმეთა მმართველი ი. გოლდმანი.

## სატარიფო პალატა

11 სექტემბრის სხდომა.
(დასასრული)

**სამხედრო-სამეურნეო კომიტეტის შუამდგომლობა.**

პრეზიდიუმს განსახილველად გადაეცა შუამდგომლობა სამხედრო-სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარისა, რომელსაც ექვემდებარებიან ყველა საინტენდანტო დაწესებულებანი, რომ გადიდებულ იქნეს სატარიფო პალატის მიერ დამტკიცებული ჯამაგირები ზოგიერთი სწორებების დაქირავებულ მოსამსახურეთათვის, რადგანაც დიდი პასუხისმგებლობა აწევთ ამ დაწესებულებათა მოსამსახურეთ.

**ფოთის გადამტვირთავების შესახებ.**

ინფორმაციის წესით თავმჯდომარე აცნობებს პალატას, რომ ფოთის გადამტვირთავების შუამდგომლობას განიხილავს სატარიფო პალატის სესია, რომელიც იქ მიემგზავრება და რომელიც გადასწყვეტს ამ კითხვას ადგილობრივი პირობების მიხედვით.

**მუშებისათვის იაფი საქონლის მიწოდება.**

გოლდმანი აცნობებს პალატას, რომ შემდგა პირველი სხდომა სასურსათო კომისიისა, სადაც ირჩეოდა ქალაქის გამგეობის განცხადება შესახებ იმისა, რომ მუშებს ვეღარ მიეცემათ იაფი პური, თუ მეწარმეებლები არ დაეხმარებიან მათ და არ შეიტანენ 500 მ. ყოველ მუშაზე, რომელიც წარმოებაში დაბანდებული. სახელმწიფო დაწესებულებანი და თანხმდენ თავისი წვლილის შეტანას, მაგრამ მეწარმეებლებს ჯერ არ განუცხადებიათ თავისი თანხმობა, რადგანაც საჭიროდ სთვლიან, რომ მუშებისათვის იაფი საქონლის მიწოდების საქმე უფრო ფართო ნიადაგზე იყვეს დაყენებული.

ეს კითხვა საბოლოოდ გადაწყდება სასურსათო კომისიის ახლომავალ სხდომაზე. რადგანაც ქვორუმი აღარ იყო, სატარიფო პალატის სხდომა დახურა საღამოს 8 ნახ. საათზე.

## რესპუბლიკის ერობათა მეორე ყრილობა.

12 სექტემბერი.

თავმჯდომარეობს ლ. შენგელაია—ყრილობა მისასალმებელ დეპეშას უგზავნის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, ჩამოკიდენ წარმომადგენელნი სოხუმიდან და რაჭიდან. დღის წესრიგში მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებები მოგვყავს შემოკლებით:

**მ. კლიმიაშვილი** (სიღნაღის ერობა). სიღნაღის სამაზრო ერობის პირველი ყრილობა მოხდა 1918 წ., ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. გამგეობა შეუდგა მუშაობას ნოემბრის პირველ რიცხვებში, იმ ხანად მაზრაში მძვინვარებდა ეპიდემია „ისპანკა" და გამგეობამ მის წინააღმდეგ მიიღო სასწრაფო ზომები. გამოიწერა თფილისიდან სანიტარული რაზმი, ფულები გაეწერა საზოგადოებებს, რომლებიც სიხარულით იხდიდნენ, მაგრამ არ დასჭირდა ეს ფული, რადგანაც იმ ხანებში მოსწრო მთავრობის 30,000 მან. დახმარებამ. პირველ დღიდანვე გამგეობა შეუდგა ფოსტის მიმოსვლის აღდგენას და კიდევაც მოახერხა ეს. ყველა ამის შემდეგ გამგეობა შეუდგა შემოსავლის წყაროების ძებნას. ასეთ წყაროებათ გამოყენებულ იქნა: ძველი „ნედოიმკები" (200,000 მან.), 2 პროც. გადასახადი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების შენობებზე გავადიდეთ რაოდენობა გადასახადისა სავაჭრო-სამრეწველო მოწმობებზე, პატენტებზე, დანარჩენი შემოსავალი განისაზღვრება დამფ. კრების მიერ გადასახადების შესახებ მიღებულ კანონებით. სულ ნავარაუდევი იქნა შემოსავალი 7,940817 მანეთი. შემდეგ გამგეობა შეუდგა გზების შეკეთებას. ხალხი დიდი ხალისით ეკიდებოდა ამ საქმეს. გაკეთებულ იქნა რამოდენიმე გზა, ბოგირები, ხიდები.

გამგეობამ აღადგინა ძველი ფოსტის მიმოსვლა, ხელს უწყობს ახალი ფოსტის განყოფილების გახსნას, ხელმძღვანელობს ტელეფონის გაყვანას და სხ. სახალხო განათლების მხრივ მაზრაში საქმე ცუდათ იყო. სამაზრო ყრილობამ დაადგინა, რომ 1 სექტემბრიდან ყველა სოფლებში, სადაც არ არის სკოლა, გახსნას ახალი სკოლები. გამგეობამ გადასდო სათანადო თანხა მაზრაში სამკითხველოების გასახსნელად და არსებულის დასახმარებლათ.

რაც შეეხება ჯანმრთელობის საკითხს, გამგეობამ განიზრახა ხუთი არსებული ქსენონის აღდგენა და კიდევაც სწარმოებს მუშაობა ამ მხრით.

ერობამ მოინდომა ადმინისტრაციის გაჯანსაღება, მისი მატერიალური მდგომარეობის მოწესრიგება, მაგრამ ამ საკითხში სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.

ამა წლის დასაწყისიდანვე მოწვეულ იქნენ მოსამართლენი, დაარსდა მოსამართლეთა სამაზრო ყრილობა, სწარმოებს მუშაობა ნაფიც მსაჯულთა კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ.

მაზრაში მოეწყო ოცდა ექვსი წვრილი ერთეული. სამაზრო ერობის გამგეობა შეძლების დაგვარად ხელმძღვანელობას უწევს მათ მუშაობას, სცდილობს მისცეს მათ მუშაობის გეგმა.

სიღნაღის მაზრა, მეტადრე ქიზიყი, ღარიბია სასმელი წყლებით. გამგეობამ მიიღო ზომები წყლების გაყვანის შესახებ. ხალხი დიდის აღფრთოვანებით შეხვდა ამ საქმეს და ყოველგვარ დახმარებას გვაძლევს, სასურსათო საქმესაც სათავეში გამგეობა უდგია. ის ანაწილებს მთავრობისაგან მიღებულ სურსათს და თვითონაც იძენს.

ერობის ყოველდღიური შემოსავალი პირველ ხანებში 2 ათასამდე ადიოდა, შემდეგ 5 ათასამდე ავიდა, მაგრამ გასავალი მაინც მეტია.

გამგეობა შეუდგა და სათანადო ზომები მიიღო აგრეთვე ახტალის კურორტის მოწყობის შესახებ. აგრარული რეფორმა ვერ ტარდება სასურველად. უფასო კომისიები არ მუშაობენ დღიურ. საჭირბოროტო საკითხია წვრილი ერთეულების და სამაზრო ერობის დამოკიდებულების გამორკვევა. ახალი დებულების შემუშავების დროს ეს აუცილებლათ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში.

**ის მაღლანია** (სენაკის მაზრა), ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ერობა სენაკში დაარსდა 3 დღის შემდეგ სენაკის ერობამ თავიდანვე შეადგინა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 12 მილიონ მანეთს უდრიდა. ამან დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია, როგორც მთავრობაში, ისე პრესაში. მაგრამ სინამდვილემ დაგვანახვა, რომ სენაკის ერობა მართალი ყოფილა: დღეს სხვა ერობები 20—25 მილიონიან ხარჯთ-აღრიცხვას ადგენენ. ერობა უპირველეს ყოვლისა შეუდგა წვრილი ერთეულების მოწყობას. მოეწყო 33 ერთეული. წვრილი ერთეული თავსდება საზოგადოების ფარგლებში. ჩვენ გვინდოდა რამოდენიმე საზოგადოება შეგვეერთებინა, მაგრამ ვერ მოხერხდა. უთანხმოებას იწვევდა ცენტრის საკითხი, ისე კი ხალხი თანახმა იყო შეერთების მეზობელ საზოგადოებასთან.

მაზრის ერობისა და წვრილ ერთეულთა შორის დამოკიდებულება კარგია. წვრილი ერთეულები მცირე გამონაკლისის გარდა სავსებით ემორჩილებიან სამაზრო ერობას. მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ იურიდიული უფლებები წვრილი ერთეულებისა არ არის გამორკვეული ერთეულებმა არ იციან რა აკეთონ. ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს ტრადიცია, პრეცედენტები. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ შევქმნათ საკუთარი ტრადიცია, პრეცედენტი.

სენაკის მაზრაში არავითარი გადასახადი არ აგვიკრეფია, რადგანაც ამის უფლება არ გვქონდა. ჩვენ ავკრეფით მხოლოდ იმ გადასახადებს, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა. ასე რომ ჩვენს ფინანსებს შეადგენდა ის კრედიტები, რომელსაც მთავრობა გვიგზავნის და სიმინდის ოპერაციიდან მიღებული მოგება.

სანიტარულის მხრით ჩვენი მაზრა იყოფა 8 უბნათ. 3 უბანში მოვაწყვეთ მცირე საწოლიანი საავადმყოფოები. დანარჩენ ხუთ უბნიდან, ოთხში უკვე გვყავს საერობო ექიმები. სულ ამ საქმისათვის ერობამ დღემდე დახარჯა 400 ათას მანეთამდე.

სენაკის მაზრაში თითქმის ყველა სოფლებში არსებობს პირველ დაწყებითი სკოლა. ვრცელდება აგრეთვე გიმნაზიები და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები. მაგრამ ჩვენ ამას ვებრძვით. ჩვენ გვინდა გავრცელდეს ტეხნიკური, პროფესიონალური სასწავლებლები. ამიტომ ჩვენ გავხსენით ორი სამეურნეო სკოლა. განზრახული გვაქვს სამის გახსნა. განზრახული გვაქვს აგრეთვე ტეხნიკური სკოლის გახსნა. ჩვენ ვგრძნობთ მომზადებულ მასწავლებელთა ნაკლებობას და გავხსენით სენაკში საოსტატო სემინარია. ქაღალდი ამის შესახებ დიდი ხანია გამოუგზავნეთ სამინისტროს, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მოგვილია. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სამინისტროებში ქაღალდები დიდხანს ჩერდება. ჩვენ არ შეგვეძლო დაცდა და რევოლუციონური გზით გავხსენით სასწავლებლები. მასწავლებლები მატერიალურად ცუდ პირობებში იმყოფებიან. გარდა იმ კრედიტებისა, რომელსაც მთავრობა გვაძლევს, ერობას განზრახული აქვს მომავალ წლიდან სახალხო განათლებისათვის თავისი კასიდან ყოველთვე ორასი ათასი მანეთი გაიღოს.

რაც შეეხება ადმინისტრაციას, ჩვენ გავაუქმეთ მაზრის და რაიონის კომისრის თანამდებობა და დავაყენეთ მილიციის უფროსები. მილიცია შეძლების დაგვარად ბოროტმოქმედებას ებრძვის. ამ ერთი წლის განმავლობაში დავატუსაღეთ 13 ყაჩაღი. აქაც, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ მთავრობა თავის დროზე ვერ გვაწვდიდა ფულებს მილიციის და ადმინისტრაციის დასაკმაყოფილებლათ, ჩვენ მოვახდინეთ რევოლუციონური გზით ადმინისტრაციის რეორგანიზაცია, რადგანაც მთავრობისაგან ჩვენი ქაღალდების პასუხი ვერ მივიღეთ. სასურსათო საკითხი ჩვენში კარგათ იყო: სიმინდი შარშან ბლომათ მოვიდა და დიდძალიც გაზიდულ იქნა სენაკის მაზრიდან. წლევანდელი მოსავალი ძალიან ცუდია და მთავრობამ აქედანვე უნდა მიიღოს სათანადო ზომები სიმინდის, ან პურის შესაძენათ.

მიწის რეფორმა ჩვენში უმტკივნეულოთ ტარდება. ხალხი დახმარებას უწევს კომისიებს.

გზების გაკეთებას შეუდგა ერობა, ხალხი აღფრთოვანებით ეგებება ამ საქმეს.

მაზრაში 5 მომრიგებელი მოსამართლეა. დამტკიცებულია ოთხი, მეხუთე მთავრობას ჯერ არ დაუმტკიცებია, სათანადო ქაღალდი კი აპრილში გამოვგზავნეთ. ჩვენ ქაღალდი ვერ დაუცადეთ და ჩვენით გავგზავნეთ მომრიგებელი მოსამართლე მეხუთე უბანში. გამომძიებელთა რიცხვი ცოტაა.

**მ. ახალაძე** (გორის მაზრა). გამგეობა შეუდგა მოქმედებას 4 დეკემბერს 1918 წ. სამაზრო ხმოსანთა რიცხვი 40 არის, უნდა იყვეს 45, მაგრამ რადგან ჯავის რაიონში არჩევნები არ მოხდა, 5 ხმოსანი აკლია. მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება ერობას. მიუხედავათ ამისა 9 თვის მუშაობის შემდეგ ბევრი დაბრკოლებანი დაძლეულ იქნა, მასა ერობის იდეას შეეგუა და ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში. პირველ დღეებშივე მოეწყო „ისპანკასთან" საბრძოლველად ექიმთა მფრინავი რაზმები, რამაც დიდი ნაყოფი მოიტანა. შემდეგ მიღებულ იქნა სასტიკი ზომები საქონლის ჭირთან საბრძოლველად. გამგეობა იძულებული იყო აგრეთვე დიდი შრომა ენერგია და თანხა დაეხარჯა სურსათ-სანოვაგის კრიზისის გასანელებლათ—თვით ეწარმოებინა ყოველგვარი სურსათ-სანოვაგის შეძენა. გამგეობის ეს ცდა ფრიად ნაყოფიერი გამოდგა. ერობის მეცადინეობით ბაზრის ფასებიც დაეცა, მთელს მაზრაში გამგეობა ხელმძღვანელობს მთავრობის მიერ ხორბლეულობის შეძენის საქმეს.

სწავლა განათლების მხრივ გორის მაზრა ჩამორჩენილია. სკოლების რიცხვი ერთობ მცირეა. რაც იყო ისიც ჩამონგრეული და მოუწყობელია. გამგეობა თავიდანვე შეეცადა ამ სამის მოგვარებას. არსებული სკოლები სავსებით აღადგინა, გახსნა და მიაწყო 44 ახალი სკოლა. ამის გარდა იარსებებს ოთხი მოძრავი სკოლა, როგორც პატარებისათვის, ისე დიდებისათვის. გამგეობამ ყურადღება მიაქცია სახალხო მასწავლებელთა რიცხვის სიმცირეს და ერობის ხარჯით ჯერ კიდევ იანვარში გახსნა სამასწავლებლო სემინარიასთან სამასწავლებლო კურსები 5 თვიანი და მომზადა 36 ახალგაზრდა. 21 ახალგაზრდა გაგზავნა თფილისში მასწავლებელთა კურსებზე. სკოლების სახელმძღვანელოდ მოწვეულია ორი ინსტრუქტორი. ერობის თანხიდან მასწავლებელი ღებულობს 400 მანეთს დამატებას თვიურად.

სანიტარული საკითხიც ჯეროვანად მოაგვარა გამგეობამ. მაზრაში გაიხსნა საავადმყოფოები, დაარსდა საექიმო და საფერშლო პუნკტები. წამლობა და ექიმობა პირველ დღიდანვე უფასოა. მაზრაში მუშაობს 8 ექიმი და 15 ფერშალი. ეს რიცხვი ექიმებისა და ფერშლებისა არ არის საკმარისი, ვცდილობთ გადიდებაზე. განზრახულია ახლო მომავალში ყველა საერობო თემებს ჰქონდეთ საავადმყოფო, ან საექიმო პუნკტი მაინც და დაარსება საფერშლო პუნკტების ყველა მოზრდილ სოფლებში. გორში გამგეობამ გახსნა ცენტრალური საწყობი წამლებისა და საჭირო იარაღებისა.

საქონლის ჭირთან საბრძოლველად აყვანილია სამი ვეთალი ფერშლებით. მოწყობილია ამბულატორიები გორში, სურამში და ცხინვალში.

სასამართლოს მოწყობა და ხალხთან დაახლოვება გამგეობის საზრუნავი იყო თავითვე. მაზრა გაყოფილია 11 სამოსამართლო უბნად და ყოველგან მომრიგებელ მოსამართლეთა კამერები, გარდა ჯავის სამოსამართლო უბნის.

გამგეობა ენერგიულად შეუდგა აგრეთვე ადმინისტრაციის ჯეროვან დონეზე დაყენებას. ძველი რაიონების მაგიერ გამგეობამ მოაწყო მილიცია არსებულ სათემო ერთეულების ფარგლებში. დატევებულია სამაზრო მილიცია, გაუმჯობესებულია მატერიალური მხარე ადმინისტრაციისა და მიღებულია ზომები შემადგენლობის გაცხოველება-გაჯანსაღების მხრივ.

აგრონომიულ დახმარებას მაზრაში სათანადო ალაგი უჭირია, მოწვეულია სამაზრო აგრონომი. მაზრა გაყოფილია 4 საგრონომიო უბნებად და თვითეულ უბანს მიჩენილი ჰყავს სარაიონო აგრონომი და მისი თანაშემწე. ყველა რაიონებში მოწყობილია იარაღის გასაქირავებელი პუნკტები. გამგეობას განზრახული აქვს მოაწყოს შემოდგომაზე მოკლე ვადიანი აგრონომიული კურსები. გამგეობამ შემოიერთა ყოფილი სამაზრო სააღგილ მამულო კომიტეტი, ხელმძღვანელობს აგრარული რეფორმის გატარებას. გორის მაზრა პურის ქვეყანაა. საჭიროა მხოლოდ ტეხნიკური გაუმჯობესება, გამგეობა უკვე შეუდგა არხების გაყვანას და ურწყავი მინდვრების სარწყავ მინდვრებათ გადაქცევას. ერთი არხი დიდი ლიახვიდამ ამ დღეებში სავსებით დასრულდება.

გამგეობა შეუდგა გზების მოწესრიგებას. მრავალი სოფლის გზები უკვე შეკეთებულია, გამგეობამ აიღო იჯარით ორი სახერხი ქარხნები: გორში და ატენში. იქ დამზადებული მასალების ნაწილი მოხმარა ხიდების და სკოლების შეკეთებას.

დაარსდა სტატისტიკური განყოფილება.

ფინანსიური მხარე ერობისა ძლიერ ცუდ პირობებში იყო. გადასახადები არ შემოდიოდა. დღეს ეს დარგი ცოტათი მოგვარებულია. დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული გადასახადები მალე იქნება აკრეფილი. დეფიციტი ამ წელში მაინც იქნება.

მაზრა გაყოფილია, ოცდა სათემო საერობო ერთეულად, თითო სათემო ერობაში შედის 1, 2 და 3 საზოგადოებები, სადაც ეს მისახერხებელი იყო ეკონომიური, ადმინისტრაციული, კულტურული კავშირის მიხედვით. მოეწყო სულ 16 სათემო გამგეობა, ჯავის რაიონში ჯერ არ არის. თემების მუშაობას ხელს უშლის ინტელიგენტური ძალების სიმცირე სოფლათ.

**ქ. ხულქველიძე** (ქუთაისის მაზრა) ერობის ფინანსიური მდგომარეობა სავსებით დამოკიდებულია სახელმწიფოს საერთო ფინანსიური მდგომარეობაზე. დღემდე ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა არ იყო [illegible]. ამიტომ ერობების ფინანსებიც ცუდ მდგომარეობაში იყო. ამ ჟამათ ირკვევა სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობა. როდესაც რუსეთის რევოლუცია მოხდა, თვითმართველობები შეეცადნენ იმას შენარჩუნებას, რაც მათ ჰქონდათ. ჩვენ კი იძულებული ვიყავით სულ სხვა პირობებში გვემუშავა—ჩვენ ნგრევის ხანაში ახალის შენებაც მოგვიხდა. ამან, რასაკვირველია თავისი ბეჭედი დაასვა ჩვენს მუშაობას.

საექიმო დახმარება ჩვენ ასე მოვაწყვეთ: მისული ექიმს აძლევს 3 მან., სახლში თუ წაიყვანს—10 მან., ამაზე მეტის აღება ექიმს აკრძალული აქვს. ჩვენ თუ სადმე გვსურს პუნქტის გახსნა, მცხოვრებთ ვახდევინებთ 20 000 მანეთს, ქსენონზე—100,000 მანეთს. მაზრაში სულ 16 საექიმო პუნქტია. არც ერთი საფერშლო. ჩვენ საფერშლო პუნქტის წინააღმდეგნი ვართ პრინციპიალურად. ჩვენ განზრახული გვაქვს ორ საზოგადოებას ერთი ექიმი ჰყავდეს, ჩვენ აგრეთვე გავხსენით აფთიაქები, რაც შეეხება სკოლის საქმეს, ჩვენ პრინციპიალურად წინააღმდეგნი ვართ იმ შეხედულების, რომელზედაც სენაკის ერობა ადგია. ჩვენ 14 წლამდე პროფესიონალური სწავლის მიღება ნაადრევათ მიგვაჩნია. 14 წლამდე უნდა ღებულობდეს ბავშვი საერთო განათლებას შრომის პრინციპზე აშენებული სწავლებით. ასე რომ პირველი საფეხური უნდა იყოს 7 წლიანი. ჩამორჩენილ რაიონებში სკოლებს ვხსნით. ტყიბულის რაიონში უნდა გაიხსნას სულ 10 ახალი სკოლა.

უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების შენახვას საზოგადოებებს ვანდობთ. დაწყებით სკოლებს სავსებით ჩვენ ვინახავთ. ადმინისტრაცია ჯეროვანად მოწყობილი გვაქვს. ჩვენ გზების კეთებას შევუდექით. გვყავს აგრეთვე რკინის გზა ქუთაისიდან წყალტუბო ხონი-სამტრედიაში, ეს გზა გაყავს სამ თვითმართველობას ქუთაისის, ხონის და სამტრედიისას.

საბეითლო საქმეებსაც ვაწყობთ. საქონლის ჭირი მაზრაში მოვსპეთ.

აგრარული რეფორმის გატარება ძნელდება მხოლოდ ტყიბულის რაიონში. ამ რაიონში არის ტყე. ტყე სახაზინოთ გადადის. გლეხები მოითხოვენ ნორმა მაინც მიეცეთ. თემებთან დამოკიდებულება სამაზრო ერობას კარგი აქვს. მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ თემებს არა აქვს სამუშაოთ ინსტრუქცია, წესდება, რაც მუშაობას ძლიერ აფერხებს. განსაკუთრებით ხელს უშლის მათ იმ გარემოება, რომ არავითარი საბიუჯეტო უფლება მათთვის გამორკვეული არ არის. თემი მოვაწყვეთ არსებულ საზოგადოების ფარგლებში.

(გაგრძელება იქნება).

1.

## ათი წლის შემდეგ

მე ის გიჟმაჟი გოგო აღარ ვარ,
რაც ვიყავ ამა ათის წლის წინად,
მაშინ ჰაერში ზეფირს დავქონდი,
ახლა კედელი შემქმნია ბინად.

არავინ მხედავს, არავინა მცნობს,
ასეთ ყოფნასაც არა აქვს ფასი;
მოვჭამე ჩემი ახალგაზრდობა,
დედაკაცი ვარ ეხლა კაპასი.

ათის წლის წინად სჯობდა სიცოცხლე,
გიჟმაჟი ვიყავ, ლექსებსა ვწერდი,
ეხლა წინ მიძევს თეთრი თაბახი
და ვერ დავსწერე ვერც ერთი გვერდი.

ათის წლის წინად სჯობდა სიცოცხლე,—
მაშინ ვიბრძოდი ქანნა დარკივით;
მაშინ ვიბრძოდი... გავიმარჯვე და
ვკვდები სიმშილით, მეთქი, დაგკივით!

2.

## თანამედროვე სიმღერა

იყიდეთ რამე ჩემი სახლიდამ!
ჩემი სახლიდამ იყიდეთ რამე!
დღისით გავიტან რაც მაბადია
და დავისვენებ, მოღლილი, ღამე.

იყიდეთ რამე ჩემი სახლიდამ.—
მინდა გავაძღო შვილები ჭამით...
დღისით დავდივარ პურის ბაზარზე
და მოქანცული ვისვენებ ღამით.

„დედილო მშიან, მაჭამე რამე"—
მეტიტინება პატარა, დიდი...
რა გავიტანო პურის ბაზარზე,
აღარა მაქვს რა რაღას გავყიდი.

რა გავიტანო პურის ბაზარზე?
გროშისა ფასად გავყიდე ყველა;
ყოველ დღე ისეც სიმშილი გვაღრჩობს
ვეღარ გავძელით, არ იქნა შველა!..

ბაბილინა.

## ესტატე ტრაპაიძე

ესტატე იყო ქ. ოზურგეთში მცხოვრები გლეხი, ყანის მუშა და ხურო. მისი დამახასიათებელი თვისება იყო: პირდაპირობა, ალალ მართლობა, გულითობა და პარტიის ღრმა სიყვარული. ოზურგეთში პარტიის დაარსების დღიდან ის პარტიას [illegible] პასუხსაგები თანამდებობაც ეჭირა (ქალ. ხმოსნობა, [illegible]) შეკერული ხირის „იასიკამ" მისი უდროვო სიკვდილით პარტიის დიდი ერთგული, სპეტაკი ამხანაგი დაჰკარგა, მეზობლებმა კი—უანგარო კულტურული მომქმედი წევრი.

მეზობელი.

## ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის მოკლე ისტორია

მუშათა კლასმა იცოდა, რომ რევოლუციის მოხდენა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მისი შენარჩუნება და სწორედ ამიტომ იყო, რომ მუშათა წრეებში ტრიალებდა აზრი გამოენახათ საიმედო ძალა, რომელზედაც შეეძლებოდა დაყრდნობა. ასეთი ძალა-კი თვით მუშათა კლასიდგან უნდა წარმომდგარიყო. სწორედ ამ მიზნით გამოყო თავის შორის შეგნებული ნაწილი თავისუფლებისთვის მებრძოლებისა.

რუსეთის მაგალითებმა გვაჩვენა, რომ არ შეიძლებოდა დაყრდნობა იმ ძალებზე ჯარის სახით, რომლებიც დღე და დღე იცვლიდნენ თავის შეხედულებას. ამ დროს ერთნაირი საშიშროებასაც კი წარმოადგენდა ლაპარაკი მუშათა კლასის შეიარაღების შესახებ. რაც მეტ მაგალითს იძლეოდა ჯარისკაცთა მოქმედება, მით მეტ ვრცელდებოდა სურვილი მუშებში შეიარაღებისა. როდესაც დარწმუნდა მუშათა კლასი, რომ თავისუფლება განსაცდელშია, რომ ის ითხოვს შველას, სწორედ ამ დროს ერთმა ნაწილმა მოწინავე მუშებისამ გამოყო თავიანთ შორის შეიარაღებული წრე, რომელსაც უწოდა სახელად „მუშათა მილიცია" (სხვა სახელი არ შეიძლებოდა). ამ დღიდან იწყება ახალი ხანა თფილისის პროლეტარიატისა და არსდება ნაძალადევში პირველი შტაბი 13 აგვისტოს 1917 წელს. შტაბი ისახავს მიზნათ მუშათა კლასის შეიარაღებას კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ. ეს მან პირნათლადაც შეასრულა.

პირველ დაძახებისთანავე ასობით ეწერებოდნენ მუშები მილიციაში, ერთი თვის განმავლობაში მარტო ნაძალადევის რაიონს ჰყავდა უკვე 300 მეტი შეიარაღებული მუშა. მაშინდელი მოღვაწეობა მით უფრო არის აღსანიშნავი, რომ მუშათა კლასი ნდობით შეჰყურებდა და ყოველივე საშუალებას ხმარობდა, რომ მუშათა შორის შემდგარიყო მაგარი და მტკიცე ორგანიზაცია, რაც დღეს უკვე ფაქტია.

დღეს უკვე არსებობს ძალა შეიარაღებული სახალხო გვარდიის სახით, რომელიც ებრძვის, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებს. ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტების შემდეგ ყველასათვის აშკარა და გასაგები იქნება, თუ ვის ებრძოდა სახალხო გვარდია.

დღეს პირველათ იკრიბება სახალხო გვარდიის წარმომადგენლების ყრილობა, სადაც მუშათა კლასი სიხარულით შეხვდება, და დააფასებს მის მოღვაწეობის შინაარსიან წარსულს და დასდებს თავის მსჯავრს.

1. 1917 წელს 9 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე დაიწყო იარაღების დარიგება. ამ დღეს მიიღო იარაღი 55 კაცმა. ეს დღე ერთნაირ ზეიმს წარმოადგენდა ნაძალადევის რაიონისთვის, იქ მედგრათ გაისმოდა ბრძოლის ველისკენ მოწოდების ხმა.

2. 1917 წ. 29 ნოემბერს პირველით გადის მუშათა მილიცია ნაძალადევის რაიონის მშვიდობიანობის დაცვის კომისიის დაძახებისათანავე (Комиссія общественной безопасности), ეს იყო არსენალის აღების დღე, სადაც იღებდა მონაწილეობას ნაძალადევის რაიონიდან 115 კაცი. ამ დროს დაშავდა მსუბუქათ ორი ამხანაგი: პ. აკიმოვი და ა. ჩიტაძე.

3. გორში გახულიგანებულ ჯარისკაცების გამოსვლის დროს იღებდა მონაწილეობას ნაძალადევის რაიონიდან 160 კაცი ოთხი პულემიოტით.

4. ქუთაისში იგივე ჯარისკაცების გამოსვლის დროს იღებდა მონაწილეობას 60 კაცი ორი პულემიოტით.

5. ცხინვალში აჯანყების დროს იღებდა მონაწილეობას 212 კაცი ოთხი პულემიოტით, სადაც ბრძოლის ველზე დაეცნენ შემდეგი ამხანაგები: 1) გ. ფირალიშვილი, 2) ა. მარგველაშვილი, 3) ვ. ხიზანიშვილი, 4) ვ. ქოჩულიშვილი, 5) ვ. მამულაძე, და 6) კ. ყაზიშვილი, ერთიც მსუბუქათ დაიჭრა, დაშნელი.

6. ნავთლუღში ცხენოსანთა დივიზიის გამოსვლის დროს მონაწილეობას იღებდა 42 კაცი სამი პულემიოტით.

7. თელავში ჯარისკაცების გამოსვლის დროს იღებდა მონაწილეობას 95 კაცი ორი პულემიოტით, სადაც მძიმეთ დაიჭრა ერთი ამხანაგი ლ. ლასურაშვილი, მსუბუქათ: ვ. კარსაულიძე და შალამბერიძე.

ამავე დღეს დუშეთში გაიგზავნა 30 კაცი ორი პულემიოტით; გზაზე გა-

დაუბრუნდათ ავტომობილი და დაშავდა მსუბუქათ ორი ამხანაგი.

8. სადახლოში პირველად არეულობის დროს იღებდა მონაწილეობას 60 კაცი. მეორედ, როდესაც პულემიოტები წაართვეს სადახლოში ჩვენს გვარდიელებს, რომლებიც აცილებდენ ალექსანდრეპოლში, იქ გაიგზავნა 170 კაცი ქვეითი და ერთიც ჯავშნიანი მატარებელი, რომელზედაც იყვნენ ჩვენივე გვარდიელები, სადაც ბრძოლის ველზე დაეცა ერთი ამხანაგი კ. კანდელაკი, მსუბუქად დაიჭრენ ორნი: ა. ძაძამია და ქ. კაცაძე ერთიც გაცივდა და მოკვ და შ. გერმანოშვილი.

9. ნატანების ფრონტის ბრძოლის დროს იღებდა მონაწილეობას 106 კაცი, იქიდან დაბრუნებულები იგივე გვარდიელები იღებდენ მონაწილეობას სამეგრელოში გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც მოქვის მონასტერთან ბრძოლის დროს დაეცა ამხ. ი. ალიბეგოვი, დაშავდენ ა. ჭოხონელიძე, ა. რაზმაძე; ერ. რუხაძე და ურტყმელიძე.

10. დუშეთში აჯანყების დროს იღებდენ მონაწილეობას 60 კაცი ოთხი პულემიოტით და მეორე საველე ბატარეით, სადაც შედიოდენ ჩვენივე გვარდიელები, გაცივდენ და მოკვდენ—ნავროზაშვილი და დრიზგინი.

11. ტაბახმელის ფრონტზე იმყოფებოდენ 112 კაცი ოთხი პულემიოტით და მეორე საველე ბატარეით

12. სოჭის ფრონტზე ბრძოლის დროს იღებდა მონაწილეობას 120 კაცი 4 პულემიოტით და საველე ბატარეით.

13. სომხებთან ბრძოლის დროს იღებდა მონაწილეობას 110 კაცი ოთხი პულემიოტით და ბატარეით, სადაც ეკატერინოფელდთან ბრძოლის დროს გმირულად დაეცნენ შემდეგი ამხანაგები; 1) გ. ზიბროვი. 2) ზ. კუდუხაშვილი, 3) გ. მარმანაშვილი, 4) ა. ნარიმანაშვილი, 5) მ. ჩიგოგიძე, 6) პ. ჩიკვაიძე, 7) ქ. ჭანიშვილი, 8) მ. კუკუსიძე, 9) ა. ზაალიშვილი, 10) გ. ნიკოლეიშვილი, 11) ვ. სტურუა, 12) ე. ჯამიერაშვილი, 13) მ. ახვლედიანი, მძიმეთ დაიჭრენ: 1) ს. ტერტერაშვილი, 2) თ. ტატონისაშვილი და 3) ი. კოხრეიძე, მსუბუქად: დ. გაბარაშვილი, ვ. ფოცხვერია, ა. ფრანგიშვილი, გონენაშვილი; ა. ფრანგიშვილი.

14. გავრის ფრონტზე იმყოფებოდა პირველში 112 კაცი, და მეორედ კი 121 კაცი.

1 რაიონის შტაბის თავმჯდომარე მ. ძამანაშვილი.

## საბჭოთა რუსეთში

სოფლად.

გაზეთ „პრავდის" ამა წლის 15 ივლისის ნომერში მოთავსებულია ყურადსაღები წერილი საბჭოთა სოფლის შესახებ.

ავტორის აზრით, საბჭოთა რუსეთის გლეხკაცობის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია დღეს, ვიდრე ეს იყო მეფის დროს. თუ ავიღებთ მაგალითად პენზის სოფლებს,—ზემო მოყვანილი დებულება ნათლად მტკიცდება. თითქმის ყველა მაზრებში გლეხებს საკმაოთ აქვთ მიწები, პურიც ყველას სამყოფი აქვს. კარგმა მოსავალმა მოაღონიერა გლეხკაცობა და ბევრმა ახალი სახლების აშენებაც დაიწყო, ქაღალდის ფულები ბლომათ ტრიალებს გლეხკაცობაში. საკმაო ფულები მოიძებნებათ არამც თუ მარტო სოფლის „კულაკებს", მდიდრებს, არამედ საშუალო შეძლების გლეხებსაც. ძნელათ მოიძებნება ისეთი გლეხკაცი, რომელსაც არ შეეძლოს რამდენიმე ათასი მანეთის გამოღება. სოფელი დიდ ნაკლებობას განიცდის სხვადასხვა სურსათ სანოვაგით მაგ., პენზის გუბერნიაში დიდი ნაკლებლობა არის მარილის, კუპრის და სხვა. ყოველივე ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. სოფლის მცხოვრებნი სამ კატეგორიად განიყოფებიან. პირველნი, ეგრედ წოდებულნი „კულაკები" (მდიდარი გლეხი), მეორე „სრედნიაკები" (საშუალო შეძლების), მესამე ლატაკნი. მართალია „კულაკები" ბოლშევიკების გამეფების შემდეგ ველარ გრძნობენ თავს ისე თავისუფლად, როგორც ეს წინათ იყო, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ არ მოღებია ბოლო მათ ბატონობას. „კულაკები" ყოველივე ხელსაყრელ პირობებში სარგებლობენ და ახდენენ გავლენას სოფელში, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ფეროებში. ბევრს ადგილას „კულაკებმა" მამულები შეინარჩუნეს. მათ ფიქტიურათ მამულები გაყვეს რამდენიმე ნაწილათ და ათასგვარი მახინაციებით მიწების ბატონ პატრონებათ დარჩნენ. საშუალო შეძლების გლეხკაცობა სპეკულიაციით არის გართული, მათი ერთად ერთი მიზანი არის გამდიდრდენ და გაბატონდნენ თავიანთ მოძმეებზე. ყველა სოფელში საკმაო რიცხვია მშრომელ ლატაკ გლეხკაცობისა. იქ, სადაც ლატაკი მშრომელი გლეხობა მეტი მოიძებნება, ვიდრე საშუალო შეძლების,—საბჭოთა მთავრობაც ძლიერია და აჯანყებებს არ აქვს ისეთი ხშირი ხასიათი, როგორიც მდიდარ გლეხებით დასახლებულ ადგილებში. რადგანაც ლატაკი გლეხკაცობა ვერ დაეწია ქონებრივათ საშუალო შეძლების გლეხობას, მასში ჯერ კიდევ ცოცხალია რევოლიუციონური სული. თუმცა ეს სული უფრო სიმდიდრის შეძენისაკენ იხრება. სოფელში არის უმცირესობა, რომელიც უეჭველია ჩვენთან იქნება როგორც სოციალურათ, ისე პოლიტიკურათ, თუ ჩვენი პოლიტიკა იქნება სწორი. ამ პოლიტიკამ კი, როგორც ამბობს წერილის ავტორი, თავის სწორ გზას გადაუხვია. საშუალო გლეხკაცობის მიმართ პოლიტიკის შეცვლამ ბევრი ზიანი მოუტანა საბჭოთა რუსეთს. „სრედნიაკებმა" ძლიერ სასარგებლოთ გამოიყენეს საბჭოთა პოლიტიკის ახალათ აღებული გეზი. „სრედნიაკებმა" თავისუფლად ამოისუნთქეს და შეუდგენ თავიანთ საქმეების უფრო კარგათ მოწყობას. ავტორი უკმაყოფილოა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკით. „სრედნიაკებისაკენ" გადახრამ ის გამოიწვია, რომ „კულაკებს" საშუალება მიეცათ საბჭოებში გაბატონებულიყვნენ. საშუალო შეძლების გლეხკაცი მთავრობას არ დაეხმარება კონტრრევოლიუციონერებთან ბრძოლაში. საბჭოთა ძალა უფლებას მხოლოდ ლატაკნი უჭერენ მხარს. „სრედნიაკებისაკენ" გადახრას დიდი უარყოფითი შედეგები მოსდევს. გლეხებმა თავისებურათ გაიგეს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა. მათის აზრით საბჭოთა მთავრობა ხელს იღებს თავის ძველს პოლიტიკაზე და ახალ გზით აპირებს მართვა-გამგეობის მოწყობას. სოფელში გლეხობა ასე ფიქრობს: მთავრობამ ხელი აიღო არა ჩვეულებრივ გადასახადებზე, გაანება თავი ლატაკების კომიტეტებს, გაანება თავი საბჭოთა მეურნეობას. აქედან გამოყავთ თავისებური დასკვნა.

სულიერი განწყობილება სოფლად ასეთია: „კულაკებზე" ლაპარაკიც მეტია, ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ეხლანდელი წესწყობილება მათთვის ძლიერ ცუდია. ჩვენ აღგვითქვეს, რომ ომი არ იქნება, სამოქალაქო ომს კი აწარმოებენო. სხვა აზრისაა ახალ წესწყობილებაზე „სრედნიაკი". ის უკმაყოფილოა ახალი წესწყობილებით იმიტომ, რომ მისგან ბევრი მიაქვთ და ცოტას აძლევენ. რათ არის ეს, ამბობს ის, რომ პური ღირს 14 მანეთი და კარტოფილი 28 მანეთი, რათ იძლევიან ცოტას ტყის გადაზიდვაში და სხვ. საერთოდ უნდა ითქვას მათზე, რომ „სრედნიაკი" რჩება ტიპიურ გლეხათ—მას არ შეუძლია დასვას საკითხი საერთოდ, ის მსჯელობს ცალკე შემთხვევებზე, რათ მოხდა ის, რომ ივანეს მაგ., ცხენი ჩამოართვეს 700 მან. და გაყიდეს 5000 მან. და ასეთები. ამით ეს ნაწილი საზოგადოებისა ამტკიცებს მას, რომ გლეხობას არ აქვს უნარი გაერთიანებული მუშაობისა, არ შეუძლია მოვლენა წარმოიდგინოს, შეიგნოს როგორც მთელი, არამედ—ის მხოლოთ მოვლენის ამა თუ იმ მხარეზე აჩერებს თავის ყურადღებას.

უნდა ითქვას, რომ „სრედნიაკი" არ გამოვა საბჭოთა უფლებების წინააღმდეგ აქტიურათ, ის საშუალებას იძლევა დაეყრდნონ მას, მაგრამ თითონ მას ერთნაირი ნეიტრალური მდგომარეობა უკავია, ის არ აწარმოებს საბჭოს წინააღმდეგ ოპოზიციას, მაგრამ არც დახმარებას აძლევს მას. ყველაზე უფრო საიმედოა გლეხობის ულარიბესი ნაწილი (არა ლუმპენ პროლეტარიატი). ეს არის შეგნებული ნაწილი სოფლის ლატაკ გლეხობისა, მათზე შეიძლება დაყრდნობა, ისინი არიან მხოლოდ საიმედონი.

პრაქტიკული დასკვნა აქედან შემდეგია: ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა გამოსცეს დეკრეტი ანუ ცირკულიარი (უკეთესია ორივე), რომელშიც უნდა საბოლოოთ დადგენილ იქნას, რომ საჭირო „კულაკებთან" შეუდრეკელი ბრძოლა, მაგრამ ისე, რომ ეს ბრძოლა აშორდეს „სრედნიაკებს". გლეხობის ღარიბ ნაწილს კი უნდა აღმოეჩინოს დიდი დახმარება „კულაკების" ხარჯზე

## ს.-დ. პარტიაში

ნიგოითი (გურია). 6 სექტემბერს ს. ჩოლობარგში შესდგა ს. ნიგოითის რაიონის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო დამფუძნებელ კრების წევრი ს. ვადაჭკორია.

პრეზიდიუმის სახელით კოლექტივის მუშაობის შესახებ კრებას მოხსენებას უკეთებს ამხ. შ. სამსონაძე, რომელიც აცნობს დამსწრეთ კოლექტივის მუშაობის შედეგს და აგრეთვე იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიდა კოლექტივის მუშაობას ნიგოითის რაიონში. თანამედროვე მომენტზე ვრცელ და დასაბუთებულ მოხსენებას აკეთებს დამფ. კრების წევრი ამხ. ს. ვადაჭკორია, რომლის მოხსენება მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრე საზოგადოებაზე. მრავალი საინტერესო კითხვები იქნა წამოყენებული და პასუხ გაცემული ამხ. ს. ვადაჭკორიასგან, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ პარტიულ მუშაობის გაჩაღებისაკენ. კრებამ ამხ. ს. ვადაჭკორიას წინადადებით შემცირა არსებულ კოლექტივის წევრთა 21 რიცხვი 11 რიცხვამდის საქმის გაჯანსაღები-სიმარტივისთვის და კრებაზედვე აირჩია ახალი შემადგენლობა კოლექტივის წევრებისა. კოლექტივის წევრებათ დასახელებულ იქნენ: პ. ფირცხალაიშვილი, ე. გოგეშვილი, ილ. სამსონაძე, ვ. ჭანტურიშვილი, ა. ფირცხალაიშვილი, გ. გოგეშვილი, სტ. ნიკოლაიშვილი, ვ. გოგეშვილი, ე. ნასრია, ვ. ფირცხალაიშვილი. აღნიშნულ პირებ შორის კოლექტივის პრეზიდიუმში გავიდნენ: სტ. ნიკოლაიშვილი (თავმჯდომარეთ), ვ. გოგეშვილი (მდივნათ), პ. ფირცხალაიშვილი (თავჯდ. ამხ.), გ. გოგეშვილი (ხაზინადრათ).

კოლექტივის კრებამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა და შეუდგა მის განხორციელებას. **კორესპონდენტი.**

---

თფილისი. ხუთშაბათს, საღ. 6 ს. ამხ. გ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა: განიხილა შემდეგი კითხვები: 1) რეგლამენტის დამტკიცება, 2) მოხსენება ცენტრიდან, 3) ყოფილ პარ. წევრ ი. ლაფაჩიძის განცხადება, 4) პრეზიდიუმის არჩევა.

პირველი კითხვის შესახებ სხდომა ამტკიცებს შემდეგ მდივნის გამომუშავებულ რეგლამენტს: 1) კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა იმართება კვირაში ერთჯერ, დღითი—ხუთშაბათს, საღ. სრულ 6 საათზე. შენიშვნა: 1) თუ 6 ს. სხდომა არ გაიხსნა, კოლექტივის წევრები ათი წუთის ცდის შემდეგ იშლებიან. 2) სხდომა კანონიერათ ითვლება, თუ მას დაესწრო, ჩვეულებრივათ წევრთა უმრავლესობა, ე, ი. 6 კაცი. 3) თუ რომელიმე კოლექტივის წევრი საპატიო მიზეზის გარეშე ორ სხდომას ზედიზედ არ დაესწრო, მესამე სხდომიდან გარიცხულათ ითვლება კოლექტივის წევრობიდან და მის მაგიერ მოწვეული იქნება მორიგი კანდიდატი. 4) თვითეულ სხდომას არ დასწრებისას კოლექტივის წევრი მოვალეა მორიგ სხდომაზე მოახსენოს კოლექტივს, თუ რა იყო მიზეზი წინა სხდომის არ დასწრებისა. მეორე კითხვის შესახებ სხდომა ისმენს თფილისის კომიტეტის წარმომადგენელ ამხ. იკ. ავაქოვის მოხსენებას და გადადის მორიგ საკითხზე. ყოფილი პარტიის წევრ იოსებ ლაფაჩიძის თხოვნაზე, საბრალმდებელ ოქმის გადაცემის შესახებ, სხდომა ადგენს; ეუწყოს ოფიციალურად, რომ ის, თანახმად კოლექტივის წინა სხდომის დადგენილებისა გარიცხულია პარტიიდან.

მეოთხე კითხვის შესახებ, სხდომა ირჩევს სამი პირისაგან შემდგარ პრეზიდიუმს. არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ ამხ. გ. მაჭავარიანი, მის ამხანაგათ ამხ. ქ. მეფარიშვილი და ხაზინადრათ ამხ ერ. ჩანტლაძე.

ამ კითხვების გარდა, კოლექტივმა გაარჩია რამოდენიმე წვრილმანი კითხვები. **მდივანი.**

## პროვინცია

ს. მუხრანი. (ქართლი) 31 ავგ. შესდგა მუხრანის წვრილი საერობო ერთეულის ხმოსანთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო დუშეთის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე დ. ჭონიშვილი. 25 ხმოსნიდან ყრილობაზე გამოცხადდა 13. ყრილობამ ამოირჩია საბჭოს პრეზიდიუმი და სამი წევრისაგან შემდგარი გამგეობა საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ვ. ბურბუთაშვილი, მის ამხანაგათ გ. ძაგანია და მდივნათ არ. ანტონაშვილი. გამგეობის თავმჯდომარეთ ამხ. ანდრია ქლივიძე, წევრებათ—შაქრო ლაშაური და გ. გალუსტოვი. თუმცა ამ რაიონში საერობო ერთეულს მეტად მნიშვნელოვანი საქმეები აქვს მოსაგვარებელი და მისი მუშაობა მეტათ რთული იქნება მომავალში, რასაც, თქმა არ უნდა, ვერ შესძლებს მარტო ერთი კაცი, მაგრამ უსახსრობის გამო ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვ თაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ თავმჯდომარე იმუშავებს მუდმივათ, ხოლო დანარჩენი ორი წევრი გამგეობისა დრო გამოშვებით იქნებიან მოწვეულნი გამგეობის სხდომებზე. ყრილობამ განიხილა აგრეთვე სხვადასხვა საკითხები ადგილობრივი ხასიათისა, მიიღო შესაფერი დადგენილებები და დაავალა გამგეობას ეხლავე შეუდგეს მუშაობას. **ნაიბი.**

---

**ბორჩალოს მაზრა.** უკანასკნელ ხანობამდის ბორჩალოს მაზრა სრულიად მოკლებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ გაზაფხულს ეკატერინოფელდში გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო სანდრო მაისურაძის სახელობაზე. წევრებათ არიან 80 კაცამდის. ერობის შემოღებამდის საქმე სუსტათ მიდიოდა და როცა ინტელიგენტური ძალები მეშატა ეკატერინოფელდს, საქმეს გამოცოცხლება დაეტყო. ამ ჟამად ამორჩეულია ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით. თავმჯდომარე ბარტყულაშვილი, წევრები უნიფქოშვილი, ვანო არუთინოვი, ალმაზაშვილი ვანო და ფალიევი.

გამგეობა სთხოვს ყველას, ვინც დაინტერესებულია ჭაბუკი ორგანიზაციის გაძლიერებაში, მიაწოდოს ბიბლიოთეკას წიგნები, საზოგადო მოღვაწეების სურათები და სხვა. ნამეტანათ ეს თხოვნა შეეხება თავის მოძმეს თფილისის ბიბლიოთეკას სანდრო მაისურაძის სახსოვრათ. იმედია ეს თხოვნა უნაყოფოთ არ ჩაივლის. გამგეობა სთხოვს სხვა გაზეთებმა გადაბეჭდონ ეს წერილი.

გამგეობის თავმჯდომარე გ. ბარტყულაშვილი.

---

**რაჭიდან.** ჯერ იყო და დიდი წვიმების შემდეგ გვალვამ ნამუშევრები გაატიალა. ეხლა ამ წამხდარ ნამუშევრიდან საზრდოს გამოღებას არა ეშველარა, ისევ წვიმები დაიწყო. აქ საქონლის ჭირი კიდევ მძვინვარებს და მუსრავს მცხოვრებთა ერთად-ერთ სიმდიდრეს, გლეხს თავისი ლუკმით შვილივით რომ აღუზრდია ხარი, ოჯახის იმედი, ხელიდან ეცლება და სრულ უიმედობაში ვარდება.

აქ ამ ბოლო დროს ავაზაკობაც ძლიერ გახშირდა: სოფლის ნაძირალები ისე გათამამდენ, რომ მთებზე კი აღარა ხვდებიან ხალხს,—შუაგულ სოფლებში ძარცვავენ! ამ დღეებში გაძარცვეს ონელი ებრაელები, გაძარცვეს ერთი ზემოური, ქვემოთში სიმინდის საყიდლად წამოსული.

მარიამობა ღამეს ლუხუნის ხიდთან (ს. წესის ახლო) გაძარცვეს მეურმე. ამავე საღამოს ხიმშისა და ამბროლაურის ჭალაზე გაძარცვეს ხოტეველი მოხუცი (ყრუაშვილი), რომელიც აბანოდან შინ ბრუნდებოდა; წაართვეს ვერცხლის ხანჯალი, აბგა და ქალის პალტო. ამ დღეს ამინდიც საძაგელი იყო. **ზელურა.**

## განცხადებანი


იყიდება

**ბუხალტერია**

**ხ. ტარუაშვილისა**

წერა კითხვისა და „განათლების" მაღაზიაში. იბეჭდება ხ. გლახაშვილის ნაწერების პირველი ტომი.

---

1919 წ. 19 ივნისს გაიხსნა სამკითხველო ბ ალ. თეთრაძის ხელმძღვანელობით მე 9 კომისარიატშიბენია ჩხიკვიშვილის სახელობაზე. ყველა თავისუფალ მილიციონერებს შეუძლიანთ ისარგებლონ. გამგე ვ. როინიშვილი.

---

ქ. თფილისში **დაჭკარგე:** საფულე, „პასპორტი". დიდი-ჯიხაიშის კომისარის მიერ მოცემული. სამხედრო სამსახურის თავისუფლების მოწმობა. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი, ტრამვაის პარკის კანტორა კოსტა ალექსის ძე ვაშაკიძეს. მომტანი მიიღებს საჩუქარს.

---

**საათი**

ხელზედ სატარებელი ოქროსი ბრილიანტებით დაკარგული კონსერვატორიაში 11 სექტემბერს კონცერტზე მნახველს ვთხოვ მოიტანოს სასტუმრო ორიანტში № 59 მიიღებს კარგ ჯილდოს.

---

**სახლი**

2 ოთახი ეზოში პურის საცხობი ფურნე ბაღით 95 კვად. საჟენი იყიდება 40,000 მან წლიური შემოსავალი 6000 მან. ნაძალადევი) Кургання № 937 იურევის ქუჩაზე პირველი შესახვევი მარცხნივ, მერე მარჯნივ ქუჩა.

---

**ცეკვის კურსები**

მე 27-დე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 101. (5—5)

---

კბილის ექიმი **თ. ხ. ცხოველიძე** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება დილით 9—2 საღამოს. 5—6. კალოუბნის ქუჩა № 8. ტელეფონი 13—35. (10—7)

---

ექიმი **ლ. ა. ხარაძე.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

ექიმი **დ. ბ. ჯავახიშვილი.**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

---

ექიმი **ა. ი. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

---

ექიმი **გ. მ. მუხაძე.**

დაბრუნდა და განაახლა ქირურგიულ ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით, ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

---

დოქტორი **გ. გოლდშტეინი.**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

---

ექიმი **ვ. ა. ზაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

---

ექიმი ქალი **ტ. ნ. ზიზილო-ხაბაზიშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. 1 სექტემბრიდან განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—12 ს. და საღამოს 6-7 ს. პლეხანოვის პრ. № 119 ტელეფონი № 9—26.

---

ექიმი იოსებ რუდენის ძე **ცინცაძე**

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

---

ექიმი **მ. ზ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ № 41, ტელ. 12—75.

---

ექიმი **ნ. ლ. [illegible]**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბე... და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით შაბათობით დილ 10—11 საათ. ... [illegible] 14—13.

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **გ. ბ. ზურაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათი და წამლობა X სხივებით, დიდი სანოიდი და არსევალი ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

---

**ბორჯომში**

პროფ. დოქტ. მედიც. **მ. პ. მოსეშვილი** იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები" (Минеральныя воды).

---

ექიმი **ა. დ. კაკაბია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „91... მიღება დილით 9—11, საღამოთი 4-... ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნო... პირდაპირ № 116 ტელ. 14—48.

---

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილ...**

იღებს სპეციალურად — მალარი... (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გული... ფილტვისა, ქარებით და სხვა შინა... სნეულებით ავადმყოფთ ყოველ ... საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრო... ცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № ... ზემელის აფთიაქის ახლო.

---

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს ... ლის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5-... საათ. მისამართი, მადათოვის ქუჩა. 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

---

ოთხშაბათს, ამა წლის 8 ოქტომბერს (ახ. სტ.) დილის 10 საათზე დანიშნულ...

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის

**რწმუნებულთა ჩვეულებრივი წლიური კრე...**

შემდეგი კითხვების განსახილველათ:

1) განხილვა და დამტკიცება 1918 წლის ანგარიშისა,
2) მიმოხილვა კავშირის საქმიანობისა 1919 წ.,
3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა,
4) განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვისა.
5) ცვლილებანი და დამატებანი კავშირის წესდებაში,
6) გეგმა კავშირის სამერმისო საქმიანობისა,
7) არჩევნები კავშირის გამგეობის წევრებისა იმათ ნაცვლად, რომლ... უნდა გამოვიდნენ გამგეობიდან, თანახმად წესდების მე 50 § სა,
8) სარევიზიო კომისიის არჩევნები,
9) დელეგაციის გაგზავნა მომავალ საერთაშორისო კოოპერატიულ კონფერენციაზე,
10) მიმდინარე საქმეები.

თანახმად წესდების 29 §, ყოველ მოკავშირე კოოპერატივს აქვს უფლ... გამოგზავნოს ყრილობაზე ორი რწმუნებული. სამს რწმუნებულს აგზავნის კოოპერატივი, რომლის წლიური ნავაჭრი კავშირში ან კავშირის შემწეობ... აღემატება ღირებულებით 25 ათასი მანეთს; ხოლო ოთხს, თუ ნავაჭრის ... მი აღემატება 50 ათასს. საერთო რიცხვი კი კოოპერატივის რწმუნებულთა უნდა აღემატებოდეს ოთხს.

აცხადებს რა ზემოხსენებულს, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავში... გამგეობა, სთხოვს მოკავშირე კოოპერატივებს დროზედ აირჩიონ და გამოგზ... ნონ ყრილობაზე თავისი რწმუნებულები.

დაწვრილებითი ცნობებს ყრილობის შესახებ ჩამოსულნი რწმუნებულნი იღებენ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირი. (გოლოვინის გაუვალზე № 15, კუთარი სახლი)

(4—1) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის **გამგეობა.**

---

**განცხადება** თფილისის სასტუმროების, სასადილოების, მო... თელ ოთახების, რესტორანების და სხვათა ურთ... ერთ დამხმარებელის საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს წევრთა ამა საზ... დოებისას, რომ საგანგებო კრება არის დანიშნული 17 ამა ენკენისთვეს დი... 11 საათზედ რესტორან ამირანში (ვერის დაღმართი, სახლი მელიქ-აზარიანი... კრება იგი კანონიერი არის რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს და დადგე... ლება მისი სავალდებულო არის ყოველივე წევრთათვის. გასახილველი საგნ... 1) კითხვა სანიტარული გადასახადის განაწილების შესახებ და 2) სხვადასხვა... ნაური საქმეები.

თავმჯდომარე გამგეობისა დ. მაჭავარიანი. მდივანი გამგეობისა ი. რაზმაძე.

---

**ბორჯომის წყალი**

განმეორებით ვაცხადებ პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ბო... ჯომის წყალი ბოთლიანათ ღირს ხუთი მანეთი.

გაცივებული — ექვსი მანეთი. ✦ ჭიქობით — თითო მანეთი.

ბოთლები უკანვე მიიღება. მისამართი: რუსთაველის (გოლოვინის) პროსპ. №...

(2—1) პატივისცემით დავით ქებაძე.

---

ქალაქის შრომის ბირჟის **სახალხო კინო-თეატრი**

(მადათოვის ქ.)

კვირას, 14 სექტემბერს, საზაფხულო სეზონის დახურვა უკანასკნელი დიდი ბავშვთ დღესასწაული ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით. პროგრამა: (ვე... საკონცერტო განყოფილება, პლასტიკური და სხვა თამაში, საბავშო სინემატოგრაფი: სამეცნიერო, სანახავი, კომიკური და სხვ. დღესასწაულის დასაწყისი ... ღამოს 5 საათ. დასასრული 9 საათზე. შესასვლელი ფასი ბავშვებისათვის 3 მ...

**ანონსი:** 1 ოქტომბრიდან საბავშვო დღესასწაულების საზამთრო სეზო... დასაწყისი. დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

წიგნის მაღაზია **„განათლება"**

ოლღას ქ. № 6 დაამზადებინა და იყიდება ბითუმათ და ცალობით

**რვეულები** (ცალ-ხაზიანი) და **სახელმძღვანელო წიგნები**

(6—2)

---

მე-2 საარტილერიო დივიზიონის სამეურნეო, რომელიც მოთავსებულია ... საბედის ქუჩაზე № 119, ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა ენკენისთვის 1... დილით 10 საათისთვის დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

აღნიშნული დივიზიონის ურმების საწიკავების (обозъ) გაყიდვაზე. (3—3)

---

სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიური ს-ბა ქ. თფილისის

კვირას, 14 სექტემბერს 1919 წელს 9 ნახ. საათზე დილით მუშათა კლუბის (... ხეილის ქ. სახლი 65) საზაფხულო შენობაში დანიშნულია სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობის შესახებ., ... არჩევა გამგეობის წევრების და მათი კანდიდატებისა., 3) სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევა., 4) მიმდინარე კითხვები. ამასთან გამგეობა მოაგონებს საზოგადოების წევრებს, რომ თუ აღნიშნულ დროზე 9 ნახ. საათზე საზოგადო კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, მეორე კრება გაიხსნება იმ დილითვე 10 ნახ. საათზე და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. **გამგეობა.** (4—4)